სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 20 ოქტომბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] ხით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 225 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 225

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეფროსინე ილარიონის ასული ნოზაძისა, შვილები ნადია და თამარი, ძმა ესტატე გაბრიელის ძე ნოზაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

**გრიგორი (გიორგი) გაბრიელის ძე ნოზაძისას**

პანაშვიდი ყოველ დღე 5—7 საათ. ჩერნომორის ქ. № 7.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე დარიკო ალექსის ასული ოთარიძისა, დედა ეკატერინე, შვილი ოთარი, ცოლის ძმა დიმიტრი ალექსის ძე საყვარელიძე მეუღლით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი

**იოსებ გიორგის ძე ოთარიძის**

გარდაცვალებას. მიცვალებულს თავის ბინიდან წაასვენებენ სობოროში და იქიდან ქ. გორის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებული ნათლიმამა გიორგი სიმონის ძე, ნათლიდედა ბარბარე ივანეს ასული მაისურაძისა და ნათლული ნადეჟდა მაისურაძე აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი ნათლიის

**იოსებ გიორგის ძე ოთარიძის**

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ქ. გორში. მიცვალებულს თავის ბინიდან გაასვენებენ სობოროში და იქიდან ადგილობრივ სასაფლაოზე, კვირას 20 ოქტ. დილის 10 ს.

ვასილ და კონსტანტინე იოსების ძენი, ანტიოფე სვიმონის ასული და თამარ ვასილის ასული ჯაფარიძენი თავიანთი შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სოფ. სავანეთში გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი პირველთა დედა, მეორეთა დედამთილი და მესამეთა ბებია

**ნინო სეფეს ასული ჯაფარიძისა**

დაკრძალვა სოფ. სავანეთში, კვირას, 20 ოქტომბერს. (2—2)

**სახალხო სახლი.** კვირას, 20 ოქტომბერს, დღის 12 საათზე

ქალ. ბაქოს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი

**გ. გ. აიოლო**

გააკეთებს მოხსენებას

**ბაქოში მომხდარ ამბებზე**

ბილეთები იყიდება ამთავითვე სახალხო სახლის კასაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—10 საათამდე. (2—2)

დაიბეჭდა და ამ დღეებში გასასყიდათ გამოვა

ნოე ჟორდანიას ახალი ბროშიურა:

**სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია**

გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

ფასი ერთი მანეთი. აგენტებს და გამყიდველებს, ვინც წაიღებს არა ნაკლებ 50 ცალისა, დაეთმობათ ოცი პროცენტის დაკლებით. ფული წინდაწინ. უნდა იქნას გადახდილი. საწყობი „ერთობის" რედაქციაში.

## ამიერ-კავკასიის ს. დ. ორგანიზაციებს

ამხანაგებო! საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა პარტიულ ყრილობის მოწვევა. ის სამ ნოემბერს უნდა გაიხსნეს.

ნახევარი წელიწადი გავიდა ჩვენი უკანასკნელი ყრილობის შემდე, მაგრამ თითქო მთელი საუკუნე გასულიყოს, იმდენად მდიდარი იყო ეს პერიოდი დიდი შემთხვევებითა და ცვლილებებით. სხვას რომ თავი დავანებოთ, მას შემდეგ გამოცხადდა დამოუკიდებელი ამიერ-კავკასია, დაირღვა უკანასკნელი და წარმოიშვენ რესპუბლიკები—საქართველოს, არარატისა და ადერბეიჯანის.

მძიმე როლი დააკისრა ისტორიამ ჩვენ პარტიას ამ დროს განმავლობაში, რთული და მეტად საპასუხისმგებლო კითხვების გადაჭრა მოგვიხდა.

საბედისწერო და განცდის დღეებში, როდესაც სწყდებოდა ბედი ჩვენი აწმყოსი და მომავლისა, მაშინ, ამხანაგებო, თქვენი ხელმძღვანელი ორგანოს გული ყური თქვენსკენ იყო მოპყრობილი... დავიწყეთ სახელმწიფოს აღმშენებლობა, რომელთაც სათავეში დგომა გვარგუნა ბედმა... ჩვენ მუდამ აზრთა და მოქმედებათა ერთობით ვიყავით ძლიერნი—მით უფრო ამ დიად წამებში იყო ძვირფასი და საჭირო საერთო აზრი სწორედ ისე, როგორც საერთო თავგანწირულება. და არა ერთხელ დაბადებულა მხურვალე სურვილი ყრილობის მოწვევისა, მაგრამ მძვინვარე ანარქია არ გვაძლევდა ამის შეძლებას. ძალაუნებურათ გვიხდებოდა ბრძოლა და სვლა იმ მიმართულებითა და გზით, რომელსაც გვიკარნახებდა ძლიერი დემოკრატიისა.

დღეს, როდესაც ჩვენი ცის ტატნობზე ოდნავ მაინც გადაიწმინდა და საშუალება გვეძლევა შევიკრიბოთ, ერთი მეორეს მოვუსმინოთ, ჩვენ ვესწრაფვით აქეთკენ. ჩვენმა ყრილობამ მსჯავრი უნდა დასდვას ჩვენ წარსულ ნამუშევარს, დაასახოს აწმყო და გამოიმუშავოს გეგმა მომავლისა. მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვის გარკვევა და გადაწყვეტა მოგვიხდება ამ ყრილობაზე და საჭიროა წინასწარი მომზადება, რომ მისი მუშაობა ნაყოფიერი გამოდგეს.

მაშ ემზადეთ, ამხანაგებო, მომავალი ყრილობისათვის.

ყრილობისათვის შემუშავებულია შემდეგი დღის წესრიგი:

1) საოლქო კომიტეტის მოხსენება, 2) საკანტროლო კომისიის მოხსენება. 3) ეროვნულ საბჭოს ს. დ. ფრაქციის მოხსენება, 4) მთავრობის წევრთა მოხსენება, 5) დამფუძნებელი კრება და მისთვის კანდიდატების დასახელება, 6) აგრარული საკითხი, 7) მუშათა საკითხი, 8) დამოკიდებულება სხვა პარტიებთან, 9) ადგილობრივი თვითმართველობა, 10) პარტიული მუშაობა, 11) ინტერნაციონალი, 12) არჩევნები.

სასურველი და საჭიროა აღნიშნული კითხვები გახდეს ფართო მსჯელობის საგნათ ადგილობრივ პარტიულ ყრილობებზე მათ ყოველ მხრივ გასარკვევათ და დასამუშავებლათ.

ორგანიზაციებს უფლება აქვთ წარმოადგინონ წერილობითი წინადადება ამა თუ იმ კითხვის დღიურ წესრიგში შესატანათ არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა.

შენიშვნა: ყრილობაზე წარმომადგენლობა—ამიერ-კავკ. ს. დ. მ. ორგანიზაციების წესდების მე 12 მუხლით.

საოლქო კომიტეტი

## ინტერნაციონალის აღდგენა

სოციალიზმის და მუშათა კლასის მტრები და მოძულენი დიდი ამბით დღესასწაულობდენ ინტერნაციონალიზმის „გაკოტრებას". მათ დიდი რიხით ამცნეს მთელ ქვეყანას, რომ სოციალიზმს და ინტერნაციონალიზმს არა აქვს ცხოვრებაში საფუძველი, მათი მეცნიერები ამ აზრის „მეცნიერულ" დასაბუთებასაც კი შეუდგენ.

ეს მოხდა მას შემდეგ, როცა საერთაშორისო ომი დაიწყო. მთელი კაცობრიობა ორათ გაიყო, ორ კოალიციათ ჩამოყალიბდა და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. ამ ნიადაგზე მშვენივრათ შეეწყვენ ერთმანეთს თვითმპყრობელური რუსეთი და რესპუბლიკანური საფრანგეთი, ძლიერ მუშათა კლასის აკვანი, საქრისტიანო გერმანია და ბარბაროსული ოსმალეთი. მუშათა კლასი და მისი წინამძღოლი—სოციალ-დემოკრატიული პარტია ბურჟუა ფეოდალების ფერხულში ჩაებენ და მოწინააღმდეგე ქვეყნის ძმების—მუშების განადგურებას შეუდგენ. ინტერნაციონალი დაიშალა. და იმდენათ ძლიერი იყო ეს დიშლა-დაქაქსვა, რომ არა თუ ჩვენი მტრები, ბევრი სოციალისტიც კი მოიცვა უიმედობამ: ალბათ ტყუილი ოცნება ყოფილა ყველა ის, რასაც დღემდე ვამბობდით, ინტერნაციონალის აღდგენა შორეულ მომავალშიც საეჭვო არისო.

დღეს ეს ბურუსი უკვე იფანტება. ნათელი ხდება ის სამართლიანი მოსაზრება, რომელიც თავიდანვე მიუთითებდა დემოკრატიის დროებითს სისუსტეზე. ჩვენ ერთი წუთითაც არ დაგვივიწყნია ის გარემოება, რომ ომის გამოცხადების ჟამს, საერთაშორისო დემოკრატია არ იყო იმდენათ მომწიფებული, რომ ომის თავიდან აშორება მოეხერხებინა. მუშათა კლასის მოწინავე ნაწილის მეცადინეობამ, რომ ომი არ დაწყებულიყო, ვერ მოახდინა საჭირო გავლენა ხალხის ფართო მასაზე, რომელიც იმპერიალისტების ფეხის ხმას აჰყვა, რადგან მისთვის საჭირო იყო თვალსაჩინო გაკვეთილი.

ეს გაკვეთილი ხალხს ოთხი წლის მწარე გამოცდილებამ მისცა. დემოკრატია იღვიძებს.

პირველათ ეს გამოღვიძება მოხდა სწორეთ იქ, სადაც ყველაზე კარგათ არის შეკავშირებული მუშათა კლასი და ყველაზე ძლიერია სოციალ-დემოკრატიული პარტია—გერმანიაში. გერმანიის სოციალ-დემოკრატია დღეს მთელს სახელმწიფოში ტონის მიმცემია. ტელეგრაფს ყოველ დღე ახალ-ახალი ამბები მოაქვს გერმანიის პოლიტიკურ წყობილების გადემოკრატებისა. და ამის შედეგი ის არის, რომ გერმანიის განახლებული მთავრობა მედგრათ აწარმოებს ზავის პოლიტიკას.

გერმანიის დემოკრატიას უკვე გამოეხმაურა ინგლისის და საფრანგეთის მუშათა კლასი და ეჭვი არ არის ამ საერთო ფერხულში ჩაებმებიან ბელგიის, იტალიის და სხვა ქვეყნის სოციალისტები. უსაფუძვლო იყო სოციალიზმის მტრების სიხარული: ინტერნაციონალიზმის იდეია არ მომკვდარა, ის არა თუ ცოცხლობს, კიდევ მეტი სიძლიერით აღდგა, რადგან ოთხი წლის ომმა გამოაშკარავა იმპერიალიზმის სიკოტრე და მავნებლობა. ეს იდეია ხორცს ისხამს, თავის გარეგნულ გამოხატულებას პოულობს და ინტერნაციონალი მალე დადგება ფეხზე განახლებული და გაძლიერებული.

მალე მოვესწრებით იმ დროს, როცა ყველა ქვეყნების მუშათა წარმომადგენლები კვლავ ერთს ორგანიზაციაში მოიყრიან თავს და საერთო საქმის კეთებას გაორკეცებულ ენერგიით შეუდგებიან.

## პრესა

გაზეთი „კავკაზსკოე სლოვო" მოწინავე წერილს უძღვნის საერთაშორისო მდგომარეობას და კერძოთ რუსეთის შესახებ სწერს:

„სამართლიანათ უნდა ვაღვიაროთ ლოიდ-ჯორჯის საპროგრამო განცხადება, რომ „რუსეთის გადარჩენა მხოლოდ მის ხალხს შეუძლია".

„რამდენიმეთ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო კონგრესის მსჯავრი რუსეთისადმი არ იქნება სასტიკი. როგორც სამართლიანობის, ისე სახელმწიფოების მშვიდობიან არსებობის და კეთილდღეობის პრინციპი მოითხოვს, რომ რუსეთს ფეხზე დადგომის საშუალება მიეცეს, რათა სახელმწიფოებმა დაიკმაყოფილონ თავი როგორც მისმა კრედიტორებმა და კონტრ აგენტებმა. ამის განხორციელება ადვილი საქმე არ არის და მრავალ ცვალებად პოლიტიკურ და ეკონომიურ ფაქტებისათვის პასუხის გაცემას მოითხოვს".

ქვემოთ გაზეთი აღნიშნავს იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს ცენტრალურ რუსეთსა და უკვე ჩამოშორებულ განაპირა ქვეყნებ შორის, მოყავს ვილსონის ნოტიდან ის ადგილი, რომელიც ეხება მოთხოვნას, რომ გერმანიამ ჯარები გაიყვანოს დაპყრობილ ადგილებიდან, მაგრამ ამ მოთხოვნაში აღნიშნული არ არის, რომ რუსეთის ყოფილი ნაწილებიდანაც უნდა გაიყვანოს ჯარი და ასე ათავებს წერილს:

„რუსეთის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მისი შვილების შრომით და გონიერებით. შეუწყნარებელ აპატიის ალაგი უნდა დაიჭიროს მომქმედმა ენერგიამ, რომელიც შეაერთებს ყველა ძალებს, რომ უპირველეს ყოვლისა მოსპოს ტერორზე და დაშინებაზე დაყრდნობილი მოძალადეები და შემდეგ განახლების გზაზე შემდგარ სამშობლოში ყველას თავის სამუშაო მიუჩინოს".

რა კარგი სურვილია! მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ტერორზე დაყრდნობილთ (ბოლშევიკების) ადგილის დაჭერას ფიქრობენ უკიდურესი რეაქციონერები, რომელთაც არ შეუძლიათ არავითარ აღმშენებლობის გაძღოლა; მათი გაბატონება მოასწავებს წითელი ტერორის ნაცვლად თეთრი ტერორის გაბატონებას, რაც ანარქიას კიდევ უფრო გაახანგრძლივებს და უბედურ რუსეთს ნანგრევებათ აქცევს. რა ჭკუა მოკლენი არიან ის მოღვაწეები, რომელნიც ფიქრობენ, რომ გერმანიის დასავლეთის ფრონტზე დამარცხება რუსეთის აღდგენას ნიშნავს და რა ავანტიურას ეწევიან ისინი, რომელნიც გვირჩევენ კვლავ რუსეთს დავუბრუნდეთ!

* * *

კადეტურ დაშნაკცაკანური რუსული გაზეთი „რეჩი" პრინციპიალურ დაუდგრომლობას უკიჟინებს ჩვენს მთავრობას. ვინმე ტერ-კარაპეტოვი აღშფოთებულია ჩვენი მთავრობის მოქმედებით, რაც აფხაზეთის მოღალატურ ეროვნულ საბჭოს დათხოვნაში გამოიხატა. ის ჩასჭიდებია მთავრობის ერთ-ერთ საბუთს—რომ აფხაზეთის ეროვნული საბჭო არ იყო საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული. ის გაკვირვებით სწერს:

„განა ცხადი არ არის, რომ როცა საქართველოს მთავრობა სოხუმში კურდღელს უმიზნებს, ამათ თფილისში დათვს ჰკლავს? ან იქნებ მთავრობაში მჯდომმა რიგორისტებმა არ იციან, რომ სწორეთ საქართველოს რესპუბლიკის ცენტრში არსებობს დაწესებულება „საქართველოს პარლამენტის" სახით, რომელიც აგრეთვე არ არის არჩეული იმ წესით, რომელიც არ უზრუნველყოფს ხალხის თავისუფალ ნების გამოხატვას".

რაზე სწუხდებიან რუს-სომეხი ნაციონალისტები? ნუ თუ მათ მართლა კანონიერება და საყოველთაო არჩევნების პრინციპი აწუხებთ? განა არ იციან, რომ ჩვენში ჩამოყალიბებული პარტიები და ყველა ამ პარტიას ჰყავს პარლამენტში თავის წარმომადგენელი? გარდა ამისა, როგორ სურთ რუს-სომეხ ნაციონალისტებს: ჩვენს მთავრობას უნდა ეცადნა, სანამ აფხაზი ფეოდალები ოსმალებს ან ალექსეევს შემოიყვანდნენ დემოკრატიის გასაჟლეტათ?

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

19 ოქტომბერი.

**ბერლინი.** 18 ოქტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. უკანასკნელ დღეებში ჩვენ დავტოვეთ ფლანდრიის ნაწილი. ჩრდილო საფრანგეთი და ქალაქები ოსტენდე, ტურკუენი, რუბე, ლილი, დუე და უკანა პოზიციებზე გადმოვედით. ბრიუჟესა და ლისს შუა გუშინ მტერმა რამოდენიმეჯერ შემოგვიტია დიდი ძალებით. მტერი ყველგან მოვიგერიეთ: ინგლისის რაზმები, რომელნიც შემოიჭრენ ლისის იქითა მხარეს და კორტრიის სამხრეთით, კონტრატაკით უკუ ვაგდეთ. ლილის და დუეს აღმოსავლეთით მტერთან პატარა შეტაკებებია. ლე კატოსა და უაზის შუა. ისევ განახლდა ბრძოლა. ინგლისელები, ფრანგები და ამერიკელები კვლავ შეეცადენ გაერღვიათ ჩვენი ფრონტი, რომლის დროს მრავალი სამხედრო მასალა დახარჯეს. ლე-კატოს ორივე მხრიდან ჩვენს მოწინავე პოზიციებზე მოტანილი მტრის იერიშები დამარცხდა. ლე-კატოსა და ეზონვილის შუა მტერმა დაიპყრო ჩვენი პოზიციის ნაწილი. ბრძოლის შემდეგ ჩვენ შევაჩერეთ მტერი ჩვენი საარტილერიო პოზიციების წინ. ლავარიესთან, მულატრთან და ეზონვილის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით, იქ სადაც მტერმა გაარღვია ეს ხაზები, ჩვენ მტერი განვდევნეთ და კონტრ იერიშით უკან დავახევინეთ. ეზონვილი და მისი სამხრეთით მდებარე ადგილები, მიუხედავათ მტრის ძლიერი იერიშებისა ჩვენ შევინარჩუნეთ. შუადღისას განახლებული იერიშებიც მოვიგერიეთ. მოვიგერიეთ აგრეთვე იერიშები უაზის ფრონტის წინააღმდეგ ორინიის ჩრდილოეთით. მდინარე ენზე ოლიზის აღმოსავლეთით მტერი განაგრძობდა ძლიერ იერიშებს. ცხარე ბრძოლის შემდეგ მტერი მოვიგერიეთ. პრუსიის მსროლელნი გრანდპრეს დასავლეთით და ბრანდენბურგელები მაასის აღმოსავლეთით პირნათლად ასრულებენ ნაკისრ საქმეს.

**ხტამბოლი.** 18 ოქტ. სამხედრო ცნობა. ყველა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

**ლიონი** 17 ოქტ. (საფრანგეთის რადიო). საფრანგეთის პრესამ ერთხმათ მოიწონა კილო, რომლითაც შედგენილია შეერთებული შტატების მთავრობის პასუხი გერმანიისადმი. გაზეთი „ტამპი" სწერს: გერმანიის მართველებს სურდათ ხალხის დარბევა და კიდევაც მიაღწიეს ამ მიზანს. ამისი პირველი შედეგი ის არის, რომ თავისივე ხალხი, რომელსაც ზავი სწყურია, უყურებს მათ, როგორც მთავარ დამნაშავეთ ზავის მიღწევის დაგვიანებაში.

**მიუნხენი.** 17 ოქტ. ბავარიის პალატის დღევანდელ კრებაზე მინისტრ-პრეზიდენტმა ჰანდლმა განმარტა საგარეო და შინაურ საქმეთა ვითარება, დახასიათა სამხედრო მდგომარეობა, რომელსაც უწოდა თავდაცვის ომი, საიდანაც გერმანიის იარაღის ღირსება უმწიკვლოდ გამოვა. აღნიშნა აგრეთვე სამართლიანი ზავისადმი მისწრაფება, რომლის დამყარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გერმანიას არ მოსთხოვენ მიიღოს ისეთი პირობები, რომელიც დაამცირებს მის ეროვნულ ღირსებას. შემდეგ მან აღნიშნა ბავარიის ერთგულება კონსტიტუციისადმი და ბოლოს მინისტრ პრეზიდენტმა სთქვა, რომ ბავარიის მთავრობა მზათაა პალატასთან ერთად იმუშაოს, სადაც ხალხის წარმომადგენელნი მონაწილეობას მიიღებენ მართვა გამგეობაში.

**გერმანიის პრესა.** 17 ოქტ. „ფრანკფურტის გაზეთი" პრეზიდენტ ვილსონის პასუხის გამო სწერს: „კილოს და შინაარსის განსხვავება პრეზიდენტ ვილსონის პირველსა და მეორე ნოტას შორის, თვალსაჩინოა. იმ დროს, როცა პირველი პასუხი უფრო შეკითხვა იყო და გერმანიის პასუხი იმედს იძლეოდა რომ რამოდენიმე კვირის შემდეგ ომი ფაქტიურად დასრულდებოდა და საზავო მოლაპარაკებას დავიწყებდით, ეს იმედი, ვილსონის ახალი ნოტის გამო დაიკარგა. დღეს ვეჭვობთ, რომ ზავი მუდმივი ან დროებითი მალე შეიკრას. რაც შეეხება სისასტიკეს, რომელზედაც პრეზიდენტი ვილსონი მიუთითებს გერმანიის მთავრობას, ვუპასუხებთ, რომ მხოლოდ ზავს შეუძლიან მოსპოს. საერთოდ გერმანიას არ შეუძლია უკამათოდ მიიღოს ამგვარი ბრალდებები. ცხადია გერმანიის მთავრობა დიდხანს არ დააყოვნებს და ნაშავეთა ძიება-გასამართლებას თუ კი რაიმე დანაშაულს მართლა აქვს ადგილი.

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის კონფერენციამ, რომელშიაც გამოსთქვამს სრულ თანხმობას ნაციონალურ თავდაცვის საქმეში, ამასთან ერთად პარტია თავის წმინდა მოვალეობათ სთვლის გააასკეცოს შრომა და ენერგია მიმართული ამ სისხლისმღვრელ ომის მოსპობისაკენ, თანახმად ინგლისის მუშათა კონგრესის დადგენილებისა. საფრანგეთის სოციალისტური პარტია შეებრძოლება ყველა მთავრობას, რომელიც ხელს შეუშლის ინტერნაციონალის შეკრებას და აწარმოებს რა იმპერიალისტურ პოლიტიკას, უარყოფს ყველასათვის მისაღებ ზავის პირობებს. ამის გამო პარტია ავალებს თავის გამგეობას და აგრეთვე პარლამენტის ფრაქციას, რომ მათ მიიღონ ყოველგვარი საშუალება ამ მიზნის მისაღწევათ, თვით სამხედრო კრედიტის უარყოფამდე.

ჯერ კიდევ სანამ ვილსონის საპასუხო ნოტის შინაარსი არ იცოდენ ბერლინში, კავშირის საბჭომ შეიტანა რეიხსტაგში კონსტიტუციის § II შეცვლის პროექტი, რომლის მიზანი იყო ომის და ზავის საკითხი ხალხის წარმომადგენლთ გადაეწყვიტათ. პარტიათა უმრავლესობამ გამოიმუშავა პროგრამა, რომელიც მიიღო მთავრობამ, რომლითაც სამხედრო უწყება უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქოს და სამხედრო მთავრობას არ უნდა ექნეს გავლენა პოლიტიკაზე.

ჯერ-ჯერობით ვილსონის ნოტა არ გვაძლევს იმედს დავინახოთ მასში ზავის ინიციატორი. როგორც სჩანს, ვილსონი თავის მოკავშირეებთან კვლავ განაგრძობს მოლაპარაკებას, რომლის შედეგს ალბათ, ახალ ნოტაში გავიგებთ. საქმის გაჭიანურების დროს კი ინგლისისა და საფრანგეთის პრესაში იმ გვარ წერილებს ვკითხულობთ, რომელიც ზავის მოახლოვებას არ გვპირდება. ამიტომ, ისინი, ვისაც ზავი სურს, თავისი სურვილებით შორს არ უნდა წავიდნენ. გერმანიის ხალხი ასე არას დროს არ ყოფილა ზავის მომხრე, როგორც ახლა, მაგრამ შეიძლება ეს სურვილი შეიცვალოს, თუ ისეთი შთაბეჭდილება მივიღეთ, რომლისგან აშკარა იქნება, რომ მოწინააღმდეგეთ არ სურთ აიცილონ გერმანიის ხალხს უკანასკნელი და გადამწყვეტი შებრძოლება. მოხდება ეს შებრძოლება არსებულ, თუ მომავალ მთავრობის დროს, მისი შედეგი იქნება დიდი და საბედისწერო ორი იდეალის განსახორციელებლათ: გერმანიის დემოკრატიზაციისა და ეროვნებათა ლიგის დაარსებისა. იდეალები, რომელთა განხორციელებას მოწინააღმდეგეთა რწმუნებით უნდა მოჰყვეს ამ სისხლის მღვრელ ომს შედეგათ. ზავის იმედების დამარცხებას შეუძლია აღადგინოს ძველი წყობილება, რომელსაც სძაგს ახალი სახალხო მთავრობა.

თეოდორ ვოლფი „ბერლინერ ტაგებლატის" მოწინავე წერილში ვილსონის საპასუხო ნოტის შესახებ სწერს: „აქამდის თავის სიტყვებში და წერილობით მიმართვაში პრეზიდენტი ვილსონი ყოველთვის არჩევდა გერმანიის ხალხს იმათაგან, ვინც დღემდის განაგებდა მათ ბედ-იღბალს. იმავე დროს ვილსონი არა ერთხელ აღნიშნავდა თავის სიძულვილს გერმანიის ძველ გამგეობის სისტემისადმი და გამოსთქვამდა თავის სიყვარულს გერმანიის ხალხისადმი. თუ დავიჯერებ, რომ ვილსონს მართლა სურს ხალხთა მორიგება და მეგობრულ კავშირის დამყარება, დღეს მის სიტყვებს არ უნდა ექნეს გამარჯვებულის კილო, რომელიც კარნახობს თავის ნება-სურვილს. ძნელია იქ სამართლიანი ზავის მიღწევა, სადაც 8 პოლიტიკური მოღვაწე ლაპარაკობს ისეთი ენით, რომელიც ეკუთვნის ძალადობის თეორიას.

## საქართველოს პარლამენტი

18 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ექ. თაყაიშვილი.

კანონ-პროექტი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელების გავრცელების შესახებ.

მომხსენებელი ვ. ქავთარაძე კითხულობს კანონ-პროექტს:

1) დაარსებულ იქნას საქართველოს ყოველ სოფლის საზოგადოებაში ფოს

ტა-ტელეგრაფის და ტელეფონის განყოფილება.

2) დაევალოს სოფლის საზოგადოებებს უსასყიდლოთ დაამზადონ ადგილობრივად საჭირო ბოძები და ბიჯგები ალაგზე მიტანით და ორმოების გათხრით; აგრეთვე უსასყიდლოთ მისცეს ფოსტა ტელეგრაფის საჭიროებისათვის ოთხ თვალიანი სახლი გათბობა-განათებით და დარაჯით სამი წლის ვადით; ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ბინის მოსაწყობათ და ავეჯეულობის შესაძენათ ერთ დროულად გადაიხადოს 2,500 მ. ხოლო ტელეფონით სარგებლობისათვის 500 მ. ყოველ წლიურად.

3) დაევალოს სასოფლო მილიციას ფოსტის გადატან-გადმოტანა.

4) გადადებულ იქნას სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ამ საქმის მოსაწყობათ სამი წლის ვადით 1,786,240 მან.

5) ამ კრედიტის საზღვრებში მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება შეიძინოს შესაფერი მასალა 936,240 მ. ღირებული ფოსტა ტელეგრაფის ოლქის საწყობიდან თანახმად წარმოდგენილ ნუსხისა.

6) გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 150,000 მ. ამ კანონით ახლად დაარსებულ საფოსტო განყოფილებათა შტატების შესანახად 1918 წლის დამლევამდე.

**ი. გობეჩია** (ს. რ.) რასაკვირველია, ფოსტა ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის გავრცელება აუცილებლად საჭიროა, ამიტომ ზოგიერთი მუხლების უცვლელად მიღება შეიძლება. მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას მეორე მუხლის შესახებ. თუ სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, რომ ყოველ სოფელში ფოსტა-ტელეგრაფი და ტელეფონის ქსელები იყოს, მაშინ თვით სახელმწიფომ თავისი ხარჯით, ხაზინის საშუალებით გააკეთოს ეს. თუ კი სოფლის ინტერესები მოითხოვს ფოსტა-ტელეგრაფის ქსელების გავრცელებას, მაშინ სოფელმა უნდა იკისროს თავის თავზე ყოველგვარი ხარჯები. ჩვენ გვგონია, რომ ამ შემთხვევაში ეს ერობის საქმეა და საჭიროა მას მიენდოს ამ საკითხის მოგვარება-მოწესრიგება. ჩვენი ფრაქცია კანონ-პროექტის წინააღმდეგ ხმას არ მისცემს. პირველ მუხლს ხელს აუწევს, ხოლო მეორე მუხლს ხმას ვერ მივცემთ. ჩვენ შემოგვაქვს წინადადება ეს კანონ პროექტი დაუბრუნდეს უკან კომისიას.

**სოციალისტ ფედერალისტების აზრი ამ კანონ პროექტის შესახებ.**

**ს. დადიანი** (ს. ფ.). თამამად შეიძლება ითქვას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფრიად დიდი მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯი გადაუდგავს.

მე არ შემიძლია ანგარიში არ გაუწიო იმ განცხადებას, რომელიც აქ გობეჩიამ გააკეთა სოც. რევოლიუციონერთა სახელით. მათ შეუძლებლად მიაჩნიათ ის გარემოება, რომ საზოგადოებამ ტელეფონის ხმარებისათვის 500 მ. გადაიხადოს. ძველად, როცა ბიუროკრატია ძლიერი იყო და თავის აპარატის გასამაგრებლად ხმარობდა დიდ ნაწილს სახაზინო თანხისა, მაშინ ჩვენ ვებრძოდით ხაზინას და ვცდილობდით, როგორმე მისგან გამოგვეგლიჯა თანხა ამა თუ იმ საჭიროებისათვის. დღეს კი მდგომარეობა შეიცვალა, ხაზინა და ხალხი ისეა დაკავშირებული ერთმანეთს, რომ შეუძლებელია მათ შორის ძველებური დამოკიდებულება არსებობდეს. დღეს ხაზინა ხალხისაა. პრაქტიკულად რომ შევხედოთ საკითხს, უნდა ვსთქვათ, რომ 500 მანეთიდან თითო ოჯახს ორ-ორი შაური ლა შეხვდება და ამის გადახდა არც ისე ძნელია. ფინლიანდიაშიც ასეა მოწყობილი, ხალხი სარგებლობისათვის ფულებს იხდის ბოლოს, რასაკვირველია, ეს ერობის ხელში გადავა და ის მოაწესრიგებს საქმეებს. ჩვენი ფრაქციის სახელით ვაცხადებ, რომ ამ კანონ პროექტის გადადება შეუძლებელია, ის აუცილებლად უნდა დამტკიცდეს.

**შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხი.**

**ნ. რამიშვილი.** როცა თქვენს წინაშე წარმოდგენილია ფრიად სერიოზული პრაქტიკული კანონპროექტი, რომლის წინააღმდეგ ილაშქრებს ს.-რევ. ფრაქცია, პარლამენტს უფლება აქვს მოთხოვოს მას საბუთები, თუ რათ და რისთვის ილაშქრებს ამ კულტურული მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ დაწესებულების დაარსების წინააღმდეგ. მე მესმის გალაშქრება რაიმე მილიტარისტული კანონპროექტის წინააღმდეგ, მაგრამ წარმოდგენილი კანონპრონქტის წინააღმდეგ გალაშქრება სრულიად გაუგებარია. გობეჩიამ აქ განაცხადა, რომ 1 მუხლს მხარს დაუჭერს, ხოლო მეორე მუხლს არაო. ეს ნიშნავს კანონის გადადების მოთხოვნას.

აქ ამბობდენ, რომ, როცა ხალხს ბეგრავთ, უნდა იცოდეთ, თუ რას ფიქრობს ისო. უნდა განვაცხადო პარლამენტის წევრთა საყურადღებოთ, რომ ერთი და ორი დღე არ არის, რაც ამ კანონს ვიმუშავებთ. წინეთ, როცა ჩვენი ქვეყანა ანარქიის ალში იყო გახვეული და იარაღით ვებრძოდით საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს, სამხედრო საჭიროება მოითხოვდა სხვადასხვა სოფლები და პუნქტები შეგვეერთებია ტელეფონებით. როცა ფრონტები მოიხსნა, ტელეფონებიც მოიხსნა. სოფლის საზოგადოებებმა მოგვმართეს თხოვნით და გვითხრეს: ეს დროებითი ტელეფონები დარჩეს სამუდამოთ, რაც საჭირო იქნება ჩვენ გადვიხდით, აგრეთვე ვიკისრებთ იმის გადახდასაც, რაც შემდეგში იქნება საჭირო. მართლაც, რას ვაკისრებთ ჩვენ ხალხს? მათ უნდა დაამზადონ ადგილობრივად საჭირო ბოძები და ბიჯგები ალაგზე მიტანით და ორმოების გათხრით, აგრეთვე უსასყიდლოთ მისცენ ფოსტა-ტელეგრაფის საჭიროებისათვის ოთხ თვალიანი სახლი გათბობით, განათებით და დარაჯით 3 წლის ვადით. ფოსტა ტელეგრაფის და ტელეფონის ბინის მოსაწყობათ და ავეჯეულობის შესაძენათ ერთდროულათ გადაიხადოს 2500 მ, ხოლო ტელეფონით სარგებლობისათვის 500 მ. ყოველ წლიურათ. ეს ყველაფერი ხალხის სურვილია, თვით ხალხმა მოითხოვა. ასეთია არა მარტო დასავლეთ საქართველოს სურვილი, არამედ აღმოსავლეთი საქართველოც ამასვე თხოულობს, მრავალ ადგილას ჩვენ უკვე შეუდექით ამის პრაქტიკულათ განხორციელებას და ჩვენ დავინახეთ, რომ ხალხი ამ ვალდებულებას სიამოვნებით ასრულებს, აქ გობეჩიამ განაცხადა, რომ თუ ხალხმა უნდა გადაიხადოს ხარჯები, მაშინ უკეთესი იქნება თუ ამას ერობა დაადებსო. მე მიკვირს თუ რათ ამბობენ ამას. განა სულ ერთი არ არის თუ ვინ დაადებს ხალხს გადასახადს—ერობა თუ სახელმწიფო? რასაკვირველია ყველა ეს ფოსტა-ტეგრაფებს და ტელეფონების ქსელი გადაეცემა ერობას, როცა ის დამკვიდრდება, ყველგან შეუდგება მუშაობას, მაგრამ ხალხისათვის განა უკეთესი არ არის, რომ დღესვე შეუდგეთ ამის გაკეთებას და რაც შეიძლება ჩქარა გავაკეთოთ? ცხადია, ერობისთვისაც უფრო კარგი იქნება, თუ იმ გაკეთებულ საქმეს მოკიდებს ხელს.

შეიძლება დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის იმზადებდეს ეს ფრაქცია ნიადაგს, როცა ხალხის დაბეგვრის წინააღმდეგ მიდის, მაგრამ არა მგონია ამით რამე მოიგოს. როცა ამ კანონპროექტის წინააღმდეგ ილაშქრებენ, მე ვეკითხები შესწევს თუ არა ამ ხალხს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის უნარი? ეს კანონ პროექტი ჩვენ, როგორც ზევით ვთქვი, არც ისე ჩქარა შევიმუშავებია. ჩვენ რამოდენიმეჯერ გავასწორეთ, გადავაკეთეთ ის, იმის და მიხედვით, თუ რა გვითხრა ეს საერობო მოღვაწეებმა. რაც შეეხება იმას, რომ სოფლის საზოგადოება განვათავისუფლოთ გადასახადისაგან, ეს შეუძლებელია. მაშინ არავითარი კარგი საქმე არ გაკეთდება. დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ამ საქმის მოგვარებით ჩვენ დიდ საფუძველს მოუპოვებთ ჩვენს რესპუბლიკას და განვამტკიცებთ მის დამოუკიდებლობას (ტაში).

**ი. გობეჩია.** მე სრულებით არ მითქვამს, რომ ფოსტა-ტელეგრაფის გავრცელება საჭირო არ არის მეთქი. მე ვთქვი, რომ უკეთესია თუ ამას ერობა გააკეთებს მეთქი. მართლაც რა საჭიროა სიჩქარე, მალე ყველგან გვექნება ერობა და ის როგორც ხალხთან ახლოს მდგომი ამ საქმეს მოაწესრიგებს და მაშინ შეიძლება ხალხმა უფრო მეტიც გაიღოს, ვინემ ეხლა. მე სრულებით არ მესაჭიროება იმის მტკიცება, რომ ხალხმა არ გადიხადა გადასახადი, ისე ხაზინას არსებობა არ შეუძლია, მე მხოლოდ წინააღმდეგი ვარ ზევიდან დაბეგვრისა. ჩვენი ფრაქციის სახელით წინადადება შემომაქვს ეს კანონ-პროექტი დაუბრუნდეს უკან კომისიას.

წინადადება შემოვიდა კამათის შეწყვეტის შესახებ.

კამათი შეწყდა.

ი. გობეჩიას წინადადება შემოაქვს კანონ პროექტი უკანვე დაუბრუნდეს კომისიას. პარლამენტმა წინადადება უარყო.

მუხლობრივ განხილვის შემდეგ პარლამენტმა წარმოდგენილი კანონ-პროექტი უცვლელად მიიღო.

აკ. ს—უა.

(დასასრული იქნება).

# ახალი ამბები

დღეს, დილის 11 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სხდომა.

✦ **ფ.-ტ. მოსამსახურეთა კონფერენცია.** დღეს, 20 ოქტომბერს გაიხსნება საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა წარმომადგენელთა კონფერენცია.

✦ **მილიციონერთა შორის.** ქ. თფილისის სამილიციო პროფ. კავშირის ბიურომ თავის სხდომაზე, ამა წლის 14 ოქტომბრიდან, დაადგინა: 1) დაითხოვის სამსახურიდან ყველა ის პირები, რომლებიც მსახურობდენ ყოფილ პოლიციაში, 2) მოიწვიოს კონფერენცია მთელი რესპუბლიკის მილიციის წარმომადგენლებისა; ამ მიზნით არჩეულ იქნა 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა 1 თვის განმავლობაში მოიწვიოს სამილიციო კონფერენცია. საგამომძიებლო სამილიციო კომისიამ სამსახურიდან დაითხოვა მილიციის უფროსის თანაშემწე ვლადიმერ სამუილის ძე სიამაშვილი. უკანასკნელს ბრალდება მილიციონერის და სხვა მოქალაქეების გალახვა და პოლიციური მოპყრობა.

✦ **საქართველოს მთავრობამ** სიმფეროპოლიდან ყირიმის საოლქო მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრ გენ. სულკევიჩისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: ვინაიდან ყირიმი ლტოლვილებით გაივსო და სასურსათო და ბინის სიმწვავეა, გთხოვთ გამოუცხადოთ მცხოვრებთ, რომ იმიგრანტების გაშვება ყირიმის მიწა-წყალზე აკრძალულია.

✦ **შახტუნის გარდაცვალება.** 18 ოქტომბერს ღამით გარდაიცვალა ყოფილი ამიერ-კავკასიის მიწათმოქმედების მინისტრის ამხანაგი ა. შახტუნი.

✦ **ყარაბახი.** ოსმალთა წინადადებაზე, რომ ყარაბახელები უბრძოლველათ დანებებოდენ, შუშაში შესდგა ადგილობრივი მცხოვრებთა ყრილობა, სადაც დადგენილ იქნა, იცნონ ადერბეიჯანის მთავრობა, მხოლოდ იარაღი არ ჩააბარონ. ეს დადგენილება სისრულეში არ იქნა მოყვანილი; ასკერები შევიდნენ ყარაბახში და მცხოვრებლებს იარაღი აჰყარეს.

✦ **თფილისში ჩამოვიდა** კალმიკოვის თავმჯდომარეობით თერგის ოლქის სასურსათო კომიტეტის კომისია, რომ საქართველოს მთავრობასთან ხელშეკრულობა დასდოს საქონლის გაცვლის შესახებ. კომისიის ცნობით თერგის ოლქში ისეთი მოსავალი, როგორც წრეულსაა, არასოდეს არ ყოფილა.

— ახლო მომავალში მოწვეული იქნება თერგის მთავრობის მიერ მთიელთა ხალხის მე-5 ყრილობა. შესაძლებელია ამ ყრილობაში მონაწილეობა მიიღონ ყაზახებმაც. ყრილობა გაარჩევს ფრიად საყურადღებო საკითხებს.

✦ **ბავშვის გატაცება.** 17 ოქტომბერს, ღამის 1 საათზე, ბოროტ მმოქმედებმა მოიტაცეს მილიონერ ადელხანოვის შვილი. ავაზაკებმა ბავშვის დედას მოსთხოვეს 2 მილიონი მანეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვს არ გავანთავისუფლებთო.

✦ **„სომეხთა სახალხო პარტია“.** ამ დღეებში ქალაქ თფილისში, „სომეხთა სახალხო პარტიის“ ინიციატივობით შესდგა სომეხ-მდიდართა კრება, რომელზედაც დასახელებულ პარტიის წარმომადგენლებმა დაარწმუნეს მდიდრები, რომ სომეხთა ერის ხსნა შეუძლია მხოლოდ ამ პარტიასო. ხალხში აგიტაციის გასაწევად მდიდრები დაპირდენ მათ 500,000 მან.

✦ **ქურდობა.** 18 ოქტომბერს ღამით, ძველი სასულიერო სემინარიის შენობაში მოთავსებულ კოოპერაცია „მეურნე“-საგან ბოროტ-მოქმედებმა წაიღეს 100,000 მანეთის სხვადასხვა საქონელი.

✦ **სახალხო უნივერსიტეტში** დღეს, საღამოს 8 საათზე, გაიმართება საღამო კარლ მარქსის დაბადებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავათ. მოხსენებებს გააკეთებენ დ. ონიაშვილი, მ. სმირნოვი და სხვა ლექტორები. დასასრულ დაიდგმება ცოცხალი სურათები. დღესვე დილის 10 საათზე შესდგება სექციების კრება და აგრეთვე მეცადინეობა 11 საათიდან კონსერვატორიის მოწაფეებისა.

✦ **ხაშურის** ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში თავისუფალია: ორი—რუსულ ენის მასწავლებლის, ერთი—ლათინურის და ერთი მათემატიკის—ადგილები. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ხაშურში ამავე გიმნაზიების დირექტორს.

✦ **სამტრედიის გიმნაზიაში** საჭიროა რუსული ენის და ისტორიის მასწავლებელი, მიმართეთ გიმნაზიის დირექტორს.

✦ **სახალხო თეატრი.** დღეს საღამოს სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება: „ნამუსისითვის“ ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** პირველ განყოფილებაში (1 ლ რაიონის მუშათა კლუბში) დღეიდან ყოველ საღამოს, გარდა შაბათ-კვირისა, წაიკითხავენ ლექციებს საუკეთესო ლექტორები. დასაწყისი საღამოს 6 საათზე. დაწვრილებით პროგრამებში.

### კრებები.

დღეს (კვირას) ნაშუადღევის ოთხ საათზე მე-6 სავაჟო გიმნაზიაში დანიშნულია მე-IV რაიონის კოლექტივის წევრთა საგანგებო კრება.

— ორშაბათს, 21 ოქტომბერს, საღ. 6 საათზე, ?ვერის რაიონის შტაბის დარბაზში დანიშნულია ამავე რაიონის სახალხო გვარდიელთა საერთო კრება. ვინაიდან კითხვები მეტად სერიოზულია ყველა ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ.

— დღეს, დილის 10 ს. დანიშნულია ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტთა კრება, რეფერენდუმის გამოსარკვევად გაფიცვის გამო.

— სახელმწიფო, [illegible] და კერძო დაწესებულებებში [illegible] სახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა აუწყებს თავის წევრებს, დაესწრნენ საზოგადო კრებას, რომელიც დანიშნულია კვირას, 20 ოქტომბერს, დღის 4 საათზე, კადეტთა კორპუსის შენობაში.

— კვირას, 20 ოქტომბერს, დილის 10 საათზე ორთაჭალის პოლიტიკურ მუშათა კლუბის თეატრში დანიშნულია მე-6 რაიონის ს.-დ. მ. პ. წევრთა საზოგადო პარტიული კრება. განსახილველია ფრიად სერიოზული კითხვები, კრება მეორედ არის დანიშნული და რამდენიც უნდა დაესწროს, მაინც კანონიერად ჩაითვლება.

— დღეს, დილის 10 საათზე, დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა თფ. ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება მე-6 გიმნაზიაში, უდელის ქ. № 3. დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, დილის 11 საათზე, წრის კანტორაში მიხეილის ქ. № 102 სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის გამგეობის მიერ დანიშნულია წრის საზოგადო კრების გაგრძელება. კრებაზე განსახილველია: გასული სეზონის ანგარიშები, ხარჯთა აღრიცხვა და გამგეობის არჩევნები. ვთხოვთ ყველა წევრებს დაესწრონ კრებას.

### პროვინციის ქრონიკა.

**თელავი.** 13 ოქტომბერს შესდგა პირველი ყრილობა თელავის სამაზრო ერობის ხმოსანთა. ერობის თავჯდომარეთ არჩეულ იქნა ა. ს. ჭუმბურიძე მის მოადგილეთ ს. მაჭავარიანი და მდივნათ ი. პაატაშვილი. გამგეობის წევრებათ აირჩიეს თავმჯდომარეთ ლ. რ. ვახვახიშვილი მის მოადგილეთ ნ. რამიშვილი და წევრებათ ექიმი ა. ხითაროვი და აგრონომი ვ. რცხილაძე. მეხუთე გამგეობის წევრის არჩევა მოხდება იანვარში.

**საჩხერე.** 12 ოქტომბერს აქ ცეცხლი გაჩნდა, რომელიც 40 სახლს მოედვა; დაიწვა ნახევარი ბაზარი, კოოპერატივის და თეატრის შენობები. ზარალი 2 მილიონამდეა. შუა დაბაში არაა გამოყვანილი წყალი, რომ ცეცხლი მალე ჩაექროთ.

## კარლ მარქსის საღამოს გამართვის გამო
1818—1918 წ.

მუშათა კლასის იდეოლოგი კარლ მარქსი დაიბადა 5 მაის 1818 წელს. კლასიური გიმნაზიის გათავების შემდეგ ის სწავლობდა ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც მისივე სიტყვით, უმთავრესად ისმენდა ლექციებს ფილოსოფიისა და ისტორიიდან. ამ ხანში იწყება მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა. ამ დროს ის უაღრესი დამცველია ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემისა. მაგრამ საფრანგეთის სოციალიზმის ზედგავლენით მარქსი ხდება მატერიალისტი. ამ დროს ის უა-

# ფელეტონი

## სოციალ-დემოკრატია და გერმანიის მთავრობა
(გაზ. „ფორვერტსი“-დან)

### შეიდემანის მოხსენება.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის უმრავლესობის უმთავრესი კომისია და ამავე პარტიის რეიხსტაგის წევრები შეიკრიბენ 23 სექტემბერს რეიხსტაგის შენობაში. კრებას თავმჯდომარეობდა ებერტი, რომელმაც კრების გახსნისას აღნიშნა, რომ ფრიად საყურადღებო კითხვა უნდა გაირჩეს, და ჩვენ გადაწყვეტილებას ფრიად საპასუხისმგებლო მნიშვნელობა აქვსო.

პოლიტიკურ მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა შეიდემანმა. უკანასკნელ მომხდარ ამბებში ერთ ყურადსაღებ და სასიხარულო მოვლენას აქვს ადგილი. ეს არის შერყევა მთელი გერმანიის დიდმპყრობელობისა. თუ მთავრობას სურს მოიპოვოს ნდობა ჩვენი ქვეყნის გარეშე, მან ჯერ აქ უნდა დაიმსახუროს ეს ნდობა. მე აღვნიშნავ, თუ როგორ ანხორციელებენ საალყო წესების კანონს, როგორი ცენზურაა, როგორი კომიკური ხასიათი მისცა მთავრობამ საარჩევნო უფლებას. ის ბრალდება, რომ გადამწყვეტ როლს თამაშობს მართვა გამგეობაში არა სამოქალაქო მთავრობა, არამედ სხვა რაღაც მომქმედი ძალები, ძალაში რჩება. მაგ. ბრძანება სამხედრო მინისტრისა, რომლითაც ის უკრძალავს კრებების გამართვას, სადაც უნდა გაგვეწია პროპაგანდა რეიხსტაგის მიერ მიღებულ საზავო წინადადებისა. ამ ბრძანების შესახებ ჩვენ ენერგიული პროტესტი განუცხადეთ რეიხს-კანცლერს. მთავრობა სუსტია იქონიოს რაიმე გავლენა ამ მომქმედ ძალებზე და მათი გავლენა შეასუსტოს. მთავრობა ბევრს დაგვპირდა, თავისი დაპირებანი ვერ შესძლო განეხორციელებინა. რეიხსტაგის უმრავლესობა გრძნობს, რომ ასეთი მდგომარეობა აფერხებს ზავის მოახლოვებას. ნაციონალ ლიბერალების ბლოკში მიღება შეიძლება მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ზავის საკითხში დაეთანხმებიან რეიხსტაგის უმრავლესობას.

როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ახალ მთავრობასთან? ბიუჯეტის უარყოფით ჩვენ დაუმტკიცეთ, რომ არ ვენდობით ახლანდელ მთავრობას. თუ დაისვა კითხვა ჩვენი მთავრობაში მონაწილეობის მიღებისა, მაშინ ჩვენ უნდა დავარღვიოთ მე 9 მუხლი იმპერიის კონსტიტუციისა, სადაც ნათქვამია, რომ არავის შეუძლიან ერთ და იმავე დროს იყოს რეიხსტაგის წევრიც და შედიოდეს კავშირთა საბჭოშიაც. ჩვენ ვფიქრობთ, ამ სერიოზულ და დამაფიქრებელ მომენტში ჩვენი პარტიის წევრებს შეუძლიანთ შევიდენ მხოლოთ იმ მთავრობაში, რომელიც ეცდება ზავი ჩამოაგდოს და თუ ამას ვერ შესძლებს, მაშინ მოაწყოს ნაციონალური თავდაცვა ქვეყნისა. რასაკვირველია, ჩვენი მონაწილეობა შეიძლება განსაზღვრულ პირობებში. ჩვენ მუშაობას არ ქონდა ისეთი მნიშვნელობა ომამდე, როგორიც ეხლა აქვს. შესძლებს პარლამენტის მთავრობა ჩამოაგდოს ზავი თუ არა, ეს ჩვენ არ ვიცით. მხოლოთ ვიტყვი, რომ ასეთ მთავრობაში ჩვენ შეგვეძლო სულ სხვა გვარათ გვემუშავნა, და სხვა სარგებლობაც მოგვეტანა, ვიდრე მაშინ, თუ მთავრობის გარეშე ვიქნებოდით და მხოლოდ კრიტიკას ვაწარმოებდით. მეორე მხრით ჩვენ დიდ პასუხისმგებლობას ვკისრულობთ, მაგრამ ასეთ ხანაში ჩვენ არ შეგვიძლიან მოვერიდოთ პასუხისმგებლობას, თუ არის ცოტაოდენი იმედი შევწყვიტოთ ეს დაუსრულებელი სისხლისღვრა.

არის კი ასეთი იმედი? —მე მგონია იქნება, თუ კი სოციალისტები შეთანხმების სახელმწიფოებისა აწარმოებენ ისეთ პოლიტიკას, როგორსაც ჩვენ ვაწარმოებთ სამწუხაროთ ამაში მე არ ვარ დარწმუნებული. შეთანხმების სახელმწიფოების სოციალისტებმა არავითარი პასუხი არ გაგვცეს 1915 წელს საზავო ინტერპელიაციაზე, ჩვენი საზავო წინადადება 1916 წ. და 1917 წ., ზავის რეზოლიუციას დაცინვით შეხვდენ. ასეთივე ბედი ეწვია ბურიანის ნოტას. ჩვენ არ ვიცით რა გზას დაადგებიან ჩვენი ამხანაგები საფრანგეთში და ინგლისში, მაგრამ გამოცდილება გვიკარნახებს, რომ ჩვენი იმედები უნდა შევკვეცოთ. მარტო იმ იმედებს არ უნდა დავემყაროთ, რომ იქ სოციალისტები გადასდგამენ საჭირო ნაბიჯებს. ჩვენ სავსებით ჩვენ თავს უნდა დავემყაროთ, საკუთარ ნიადაგზე უნდა დავდგეთ და მთლიანად ვიკისროთ პასუხისმგებლობა.

იმ დროს, როდესაც ჩვენი სამხედრო მდგომარეობა იყო ძლიერი, ჩვენ მაშინ ვეწევდით სასტიკ კრიტიკას, რადგანაც გვეშინოდა, რომ ჩვენმა სამხედრო ძლიერებამ ფრონტზე არ მიაყენოს ზიანი სხვა ქვეყნებს, მაგრამ აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ღონე, რომ ჩვენც არ ჩავარდეთ ისეთ მდგომარეობაში, რომ უკიდურესი საფრთხე მოგველოდეს. მაშასადამე, ჩვენ უნდა მოვაწყოთ ნაციონალური თავდაცვა იმ დრომდე, სანამ ზავს არ მივაღწევთ. საზღვარ-გარეთ ამტკიცებენ, რომ შეუძლებელია მოლაპარაკება სწარმოებდეს გერმანიის მთავრობასთან, რადგანაც იგი არ არის დამოუკიდებელი და მისი ყოფაქცევა ორ-აზროვანიაო. სამწუხაროთ მათ შეუძლიანთ მიგვითითონ ბრესტის ხელშეკრულობაზე. მაგალითად შეუძლიანთ მოიყვანონ აგრეთვე საარჩევნო კითხვა ჩვენში. საზღვარ-გარეთ ამბობენ, რომ რეიხსტაგს არა აქვს ძალა უფლება გააკეთოს ის, რაც მას სურს, მას არ შეუძლიან შექმნას ისეთი მთავრობა, რომელიც მისი ზრახვის გამომხატველი იქნება. ჩვენ ვთხოულობთ პრინციპიალურათ მთლიან დემოკრატიზაციას.

მთავრობა, რომელიც იქნება შემდგარი დემოკრატიულათ არჩეულ რეიხსტაგისაგან, იქნება სახალხო მთავრობა, რომელსაც ჩვენ სავსებით მხარს დაუჭერთ.

პარტიულ თვალსაზრისით, საეჭვოა რომ პარტიამ მოიგოს იმით, რომ მისი წევრები მთავრობაში შევიდენ. ეჭვს გარეშეა, რომ ყოველი დღე მოგვიტანს უკმაყოფილებას: ახალი საჩივრები, ახალი ცილისწამება. ჩვენ დაგვწამებენ ბევრ სისულელეს, რომელშიაც ჩვენ სრულიად უდანაშაულონი ვიქნებით; მაგრამ ჩვენ პარტიულ ინტერესებზე მაღლა უნდა დავაყენოთ, ბედი ჩვენი ქვეყნისა, სიცოცხლე ჩვენი ჯარისკაცებისა, რომლებიც იქ აუწერელ გაჭირვებაში არიან.

მივიღეთ რა მხედველობაში ყველა ეს, ცენტრალური კომიტეტი ფიქრობს, რომ მას არ შეუძლიან გირჩიოთ თქვენ უარჰყოთ მთავრობაში მონაწილეობა, როგორ პირობებშიაც არ უნდა იყოს, არამედ მონაწილეობა მთავრობაში უნდა მიიღოთ იმ შემთხვევაში თუ შესრულებული იქნება განსაზღვრული პირობები.

ნამდვილი პარლამენტარიზაცია, თავის თავათ ცხადია, არ შეიძლება განვსაზღვროთ იმით, რომ სტატს-სეკრეტარებისა და მინისტრების თანამდებობაში დეპუტატები ჩაერიონ; უკანასკნელებმა უნდა იკისრონ სხვა მაღალი თანამდებობაც მართვა-გამგეობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ბიუროკრატიის მაგარი კედლების დანგრევა,—და ეს კი აუცილებელი და საჭიროა არამც თუ მარტო იმპერიისათვის, არამედ პრუსიისათვისაც, მის იუნკერულ გამგეობით.

დღევანდელ გადაწყვეტილებას უაღრესი მნიშვნელობა ექნება არა მარტო პარტიისათვის, არამედ სახელმწიფოსათვისაც. მოიფიქრეთ და ყოველ მხრივ გააშუქეთ ეს საკითხი.

ამის შემდეგ გაიხსნა კამათი.

**ებერტი.** იცავს მთავარ დებულებებს, რომელიც არც ერთი ეჭვსაც არ იწვევს, რომ რაც უნდა დაჯდეს, სიტყვაც კი არ შეიძლება ზავის ჩამოგდებაზე. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი მხარისა და ხალხის ინტერესები (ხმები: სრული ჭეშმარიტებაა!)

სამინისტროში შესასვლელად ჩვენ გვაქვს ორი გზა—ჩვენ ვაყენებთ პროგრამას: ან მინიმუმს ან მაქსიმუმს. მინიმუმის პროგრამით ჩვენ უნდა მოვიპოვოთ ის, რის მოპოვებასაც კი შევძლებთ ეხლა, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ბურჟუაზიულ პარტიასთან კოალიციაში ვმუშაობთ და შეთანხმების დროს საჭიროა მოვიპოვოთ აუცილებელი ცვლილებანი. მაშინ სახეში უნდა მივიღოთ, რომ ჩვენ იძულებული ვართ გერმანიაში ცენტრთან შეთანხმებით ვიმუშაოთ.

საარჩევნო უფლების შესახებ, ჩვენ ვაყენებთ ლანდტაგის დათხოვნის მოთხოვნილებას, თუ კომისიის საბატონო პალატა არ მიიღებს კანონს თანასწორ საარჩევნო უფლებისას. პაიერმა ახსნა, რომ გერტლინგს გადაწყვეტილი აქვს ლანდტაგი დაითხოვოს თუ ახლო მომავალში საბატონო პალატამ ეს კანონი არ მიიღო. თუ ჩვენ გვინდა თანხმობით ვიყოთ ამ კითხვაზე ცენტრთან, მაშინ ის უეჭველად იქნება სკოლის კულტურის პოლიტიკის სფეროშიაც, და დანარჩენში, ჩვენი ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნილება შეფარდებული იქნება მდგომარეობასთან. საერთაშორისო დამოკიდებულობის სფეროში, შესაძლებელია შეთანხმება სხვა პარტიებთან და მთავრობასთან. ჩვენ სახეში უნდა მივიღოთ, რომ ისეთი მოთხოვნილებები არ წამოაყენოთ, რომელიც ხელს შეუშლის ჩვენს გარეშე მოლაპარაკებას. თუ ჩვენ ეხლა არ შეურიგდებით ბურჟუაზიულ პარტიას და მთავრობის თანამშრომლობას, მაშინ მდგომარეობა უნდა მივაკუთვნოთ საქმის ბუნებრივ მსვლელობას. მაგრამ ჩვენში არ მოიპოვება არც ერთი, რომელსაც სურდეს ჩვენში იმ მდგომარეობის განმეორება, როგორიც რუსეთში შეიქმნა. ჩვენ, პირიქით, უნდა ვებრძოლოთ იმ ნგრევას, რომელსაც ფრონტზე ადგილი აქვს. ვნახოთ, გვაქვს თუ არა ჩვენ საკმაო გავლენა, რომ დავიცვათ ჩვენი მოთხოვნილებანი (ვაშა).

შეიდემანის მოხსენების ხანგრძლივი კამათის შემდეგ, რეიხსტაგის ფრაქციისა და მთავარ კომისიის შეერთებულმა სხდომამ, ცალ ცალკე ხმის მიცემით უმრავლესობით 55 ხმით 10 წინააღმდეგ და 25 ხმით 11 წინააღმდეგ, დაადგინა მოიწონოს პარტიული ამხანაგების მთავრობაში შესვლა, თუ ის მეორეთ შესდგება, შემდეგი პირობებით:

1) რეიხსტაგის 19 ივლისის 1917 წლის დადგენილების შეუზღუდაყად ცნობა იმ განცხადებით, რომ მზათ არიან შეუერთდენ ხალხთა კავშირს სადაო კითხვების მშვიდობიანათ გადაჭრის საფუძველზე და საყოველთაო იარაღის აყრის საფუძველზე;

2) არა ორაზროვანი განცხადება ბელგიის კითხვებზე, ბელგიის აღდგენის შესახებ, შეთანხმება და საჩუქრებაზე, ამასთანავე სერბიისა და ჩერნოგორიის აღდგენაზე;

3) ბრესტ-ლიტოვსკისა და ბუქარესტის სამშვიდობო მოლაპარაკება ხელს ვერ შეუშლის საერთაშორისო ზავის ჩამოგდებას; დაუყონებლივ შემოღებულ უნდა იქნას ყველა დაპყრობილ ადგილებში სამოქალაქო გამგეობა; ზავის ჩამოგდების შემდეგ დაპყრობილი ადგილები დაბრუნებულ უნდა იქნას, დაუყონებლივ უნდა შეიქნეს მათში დემოკრატიული ხალხთა წარმომადგენლობა;

4) ელზას-ლორენის ავტონომია, საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი საარჩევნო უფლებით ყველა გერმანიის მოკავშირე სახელმწიფოთათვის; თუ მთავარი კომისიის საბატონო პალატის თათბირი დაუყონებლივ არ მიიღებს თანასწორ საარჩევნო უფლებას, პრუსიის ლანდტაგი დათხოვნილი უნდა იქნას;

5) სახელმწიფოს ხელმძღვანელთა მთლიანობა, უპასუხისმგებელთა გავლენის მოშორება, მთავრობაში მოწვევა უმრავლესობისა პარლამენტის წარმო-

*) ამ წერილების დაბეჭდვა ტეხნიკურ მიზეზების გამო დაგვიანდა. რედ.

...ლოვდება ფრ. ენგელსს, რომელთაცან ერთად არჩევს პრობლემებს მეცნიერულ სოციალიზმისას. 1847 წელს მარქსი სწერს „ფილოსოფიის სიღატაკეს", რომელიც მიმართულია პრუდონის წვრილ ბურჟუაზიულ სოციალიზმის წინააღმდეგ. 1848 წელს გამოდის მარქს—ენგელსის მიერ დაწერილი კომუნისტური მანიფესტი", სადაც მარქსი სასტიკად საზღვრავს პროლეტარულ სოციალიზმს უტოპიურ სოციალიზმისაგან და ამტკიცებს სოციალიზმის აუცილებლობას. დაიწყო თუ არა გერმანიაში რევოლიუციონური მოძრაობა, მარქსმა გამოსცა „რეინის გაზეთი", რევოლიუციის დამარცხების შემდეგ მარქსი გაემგზავრა საზღვარ გარეთ ლონდონში, საიდანაც ის უკვე აღარ დაბრუნებულა თავის სამშობლოში. 1859 წელს გამოდის მარქსის „კრიტიკა პოლიტიკურ ეკონომიისა".

ამის შემდეგ გამოდის მარქსის უდიდესი ნაწარმოები „კაპიტალის I ტომი", რომელშიაც მარქსი, დიალექტიკურ მეთოდის საშუალებით, არკვევს მექანიზმს კაპიტალისტურ წყობილებისას და მიგვითითებს იმ ძალებზე, რომელნიც იწვევენ კაპიტალიზმის დაცემას.

თეორეტიულ მუშაობასთან ერთად მარქსი იყო უდიდესი პრაქტიკოსი, რასაც ამტკიცებს მის მიერ დაარსებული ინტერნაციონალი. ყოველივე ისტორიულ მოძღვრებას მარქსი აშუქებდა მუშათა კლასის თვალსაზრისით და მთელი ნახევარი საუკუნე ხელმძღვანელობდა მუშათა მოძრაობას.

მარქსმა თავისი გენიოსური ნიჭით და დაუღალავი ენერგიით დაუფასებელი სამსახური გაუწია მუშათა კლასს გათვითცნობიერებასა და შეკავშირების მხრივ. მთელი ქვეყნის პროლეტარიატი მარქსში ხედავს თავის მასწავლებელს, რომლის მოძღვრება ლამპარივით აშუქებს იმ ბნელ და ეკლიან გზას, რომელზედაც უხდება მუშათა კლასს ბრძოლა კაცობრიობის ბრწყინვალე იდიალებისათვის. განსაკუთრებით უყვართ მარქსი ქართველ მუშებს. ჩვენში მტკიცეთ მოიკიდა ფეხი მარქსისტულმა იდეოლოგიამ და რამდენადაც უფრო ვითარდება მუშათა კლასი, მით უფრო დაუვიწყარი იქნება ჩვენში სახელი მარქსისა და მისი მოძღვრება—მეცნიერული სოციალიზმი აუცილებელი და სავალდებულო.

5 მაისს შესრულდა 100 წელი მარქსის დაბადებიდან. ჩვენი დემოკრატია ამ დღეს უნდა დღესასწაულით შეხვედროდა, მაგრამ ამ დროს საქართველო განიცდიდა კრიტიკულ დღეებს—მას ჯარს ურტყა ოსმალთა ურდოები და ამის გამო ეს დღესასწაულიც გადადო დღეს კი, 20 ოქტომბერს, მუშათა ცენტრალური კლუბი, რომელიც აკავშირებს თითქმის თფილისის ყველა დემოკრატიულ კლუბებს, მართავს სახალხო უნივერსიტეტის შენობაში კარლ მარქსის საღამოს: მოხსენებას გააკეთებენ რუსულ და ქართულ ენაზე გამოჩენილი ლექტორები. ბოლოს მოწყობილი იქნება ცოცხალი სურათები—აპოთეოზი, თემა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" აპოთეოზში მონაწილეობას მიიღებს კონსერვატორიის მგალობელი გუნდი და სხ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ქართველი დემოკრატია ყურადღებით მოეპყრობა ამ საღამოს და თავისი დასწრებით პატივს სცემს დიდებულ მასწავლებლის უკვდავ ხსოვნას.

ერ თალაკვაძე.

## სახალხო სახლის გარშემო

მე მინდა მკითხველს და განსაკუთრებით თფილისელ დემოკრატიას მოვაგონო ერთი ის კულტურის მფენელი სკოლათაგანი, რომელიც მთელი 30 წლის განმავლობაში აწვდიდა თავის მსმენელს თავისუფალ სიტყვას, თავისუფალ აზრებს. მე ვამბობ სახალხო სახლზე, იმ წრეზე, რომელიც 30 წელს უძღოდა სახალხო წარმოდგენებს, ჯერ ჯურღმულში, სარდაფებში, ავჭალის აუდიტორიაში, რკინის გზის თეატრში და ეხლა კი სახალხო სახლში. ყველა ეს კარგად იცის ჩვენმა დემოკრატიამ, ხოლო მან არ იცის, თუ რა დღეშია დღეს ეს სახალხო თეატრი, რას განიცდის დღეს ეს მომუშავეთა მცირეოდენი წრე.

სახ. წარმოდგენების საქმე სულ უკან და უკან მიდის. ეს კი აიხსნება იმ გულგრილობით, რომელსაც ამ ბოლო დროს იჩენს ჩვენი დემოკრატ. სახ. წარ. წინაშე. დღეს ის ყველას მიავიწყდა, გარდა იმ მცირეოდენ ჯგუფისა, რომელიც დასტრიალებს თავს ამ საქმეს, მაგრამ რა შეუძლია გააკეთოს პატარა წრეს, როცა მის ხელთ არაფერი საშუალება არაა. წრეს აღარ ყავს ამ ბოლო დროს რეჟისორი (სტუდიაში მიიწვიეს) სცენის მოყვარეები ბევრი წავიდნენ, ზოგი სტუდიაში... ზოგნიც აღარ მოდიან, რადგან ყველა პურისათვის იბრძვის და დრო აღარ ჰყოფნის სახალხო სცენისთვის. წრეს აღარ აქვს ფულიც, რომ დაეხმაროს რა სახითაც იქნება სცენის მოყვარეთ და განაგრძონ წარმოდგენების მართვა და ამ რიგათ კვდება ეს მეტად დიდი და კარგი საქმე. წრის გამგეობამ მიმართა მთავრობას დახმარებისთვის, მაგრამ ჯერ არ ვიცით რა იქნება. ხოლო მანამდე კი საჭიროა მისი გამორკვევა, თუ რით უშველოთ მას, როგორ დაიწყოს წარმოდგენების მართვა და სხვა მრავალი საკითხები, რომელიც წამოყენებული აქვს გამგეობის წრეს საზოგადო კრებისათვის და რომელიც დანიშნული იყო სამჯერ (მეოთხეჯერ კვირასაა დანიშნული 20 ამ თვეს), ნუ თუ არ ინდომებს დემოკრატია თფილისისა ამ საქმის ფეხზე დაყენებას, მის ავ-კარგის გაგებას. მაშ მიეშველეთ სახალხო წარმოდგენებს, დაეხმარეთ მას.

თამარა გოგოლაშვილი.

## ჰაუ! ჰაუ!

ჰაუ! ჰაუ! ყვავ ყორნებო!
ნუ მიწუხებთ მშობელ დედას;
ბევრი ჭირი აიტანა
და გაუძლო ბევრ შავ სევდას;
თქვენს ჩხავილსაც გადაიტანს
და გაძახებთ „ვაი-დედას"!

ავათ იყო, მაგრამ მორჩა,
მაგრათ უცემს ახლა გული:
დაუბრუნდა კვლავ სიცოცხლეს,
სასიკვდილოთ გათანგული...
დღეს შვილებიც მხარს უშვენებს,
დღემდე მისთვის დაკარგული.

დიდი ჰქონდა მოთმინება,
სულგრძელობას არც დღეს კარგავს.
ის სიკეთის მიჯნურია:
ძმობის დროშას ჰქსოვს და ჰქარგავს.
ვაი იმას, მის ბაღჩაში
ღალატის ბუჩქს ვინცა დარგავს!

ჰაუ! ჰაუ! ყვავ-ყორნებო!
ნუ მიწუხებთ მშობელ დედას;
ბევრი ჭირი აიტანა
და გაუძლო ბევრ შავ სევდას;
თქვენს ჩხავილსაც გადაიტანს
და გაძახებთ „ვაი-დედას"!

გ. რუხაძე.

## შერიგება

სჩანს ამ შარაზე ჯარს გაუვლია:
შერიგებიან ერთმანეთს ძმები.
გმირული ქანით იკვლევენ გზასა
თავდადებული ქართლის გმირები.

აბოლდეს ველი ტყვიით და წამლით.
ჩაკვდეს გუგუნი მშობლიურ კლდეში!
წყევა და კრულვა რესპუბლიკის მტრებს
მეგობრებს ლხენა და ყორნებს ლეში!

იასამანი.

## განმარტება

12 ოქტომბრის გაზ. „ერთობის" მე-219 ნომერში „გზათა და სასურსათო სამინისტროს სათაურით მოთავსებულ შენიშვნაში მოთხრობილია, რომ თფილისის სადგურზე სასურსათო სამინისტროსათვის მოზიდულ მარილის გადმოუტვირთველობისა გამო 28 ენკენისთვის მოგროვილ ვაგონების რიცხვი უდრიდა 68, ხოლო 2 ოქტომბერს ამ ვაგონთა რიცხვი ავიდა 90 დე, თუმცა, როგორც შენიშვნის ავტორიც აღიარებს, გზ. სამინისტრ. არა ერთხელ მიუქცევია ამ გარემოებისათვის სასურსათო სამინისტროს ყურადღება. შენიშვნაში გაკვირვებაა გამოთქმული, რომ მარილის დროზე გადმოტვირთვა ვერ მოუწყვიათ, მიუხედავად იმისა, რომ როგორც სასურსათო, ისე გზათა სამინისტროს სათავეში სდგას ერთი და იგივე პირი—გზათა მინისტრიო.

ამ შენიშვნის გამო გზათა სამინისტრო აცხადებს, რომ 24 ამა სექტემბრიდან სასურსათო სამინისტრო გადაკეთდა ცენტრალურ სასურსათო საბჭოთ და იმავე რიცხვიდან სასურსათო საკითხები გამოყოფილ იქმნა გზათა სამინისტროს გამგებლობიდან. ვაგონების მოგვარებას, მაშასადამე, სასურსათო უწყებისადმი გზათა სამინისტროს მიერ მოგონების გაგზავნასაც მარილის დაჩქარებით გადმოტვირთვის შესახებ, როგორც ის აღნიშნულია შენიშვნაში, ადგილი ჰქონდა 28 სექტემბერს, ე. ი. მაშინ, როცა ახლად შემდგარი ცენტრალი სასურსათო საბჭო გზათა სამინისტროსთან დამოკიდებულების მხრივ დამოუკიდებელ უწყებას წარმოადგენდა.

ამჟამად სადგ. თფილისზე მარილით დატვირთულ ვაგონების მოგროვებას აღარ აქვს ადგილი. მარილი გადმოტვირთულ იქნა რკინის გზათა მართველობის მიერ და მოთავსებულია დიდუბის საწყობში.

გზ. მინისტ. მდივანი ი. მაჭავარიანი.

## ლიკვიდაცია

იორ მუღანლოელ და საგარეჯო-გიორგი წმინდელ ქართველ თათართა შორის უთანხმოებისა.

(ცნობა ტფ. გუბ. კომისრის შ. ნ. მაღლაკელიძისაგან).

დაწყებული 1917 წლის 1 აგვისტოდან იორ მუღანლოს თათრებსა და საგარეჯო-გიორგი წმინდის ქართველებს შორის გავრცელდა მსხვილი პირუტყვების მოტაცება და ურთი-ერთის ძარცვა-გაქურდვა, რაც თანდათან ამწვავებდა მათ შორის მტრულ განწყობილებას და დიდს უბედურებას უქადდა მათ. ამ ამბებს ჩვენი პრესის გამოხმაურება და ოსმალეთის წარმომადგენელთაგან შეკითხვაც კი მოჰყვა, რის გამო საჭიროთ მიმაჩნია ვაცნობო საზოგადოებას, რომ იორ მუღანლოს თათრებსა და საგარეჯოელ ქართველთა შორის დღეს სრული სიმშვიდეა დამყარებული და ეს მოხდა ორივე მხრის შეთანხმებით და სრული ნებაყოფლობით, მას შემდეგ, რაც სექტემბრის შუა რიცხვებში მე ტფილისის და სიღნაღის მაზრების კომისრებთან ერთად მოველაპარაკე მტრულ განწყობილებაში მყოფ ქართველ-თათართ. ჩვენს ახსნა-განმარტებასა და რჩევა დარიგებას მოჰყვა შეერთებული კრება, რომელზედაც შესდგა სია ურთიერთ შორის გატაცებული საქონლისა, რომლის ნაწილი იქვე დაუბრუნდათ პატრონებს, მაგ. ქართველებმა დაუბრუნეს 130-მდე მსხვილი პირუტყვი და დანარჩენის შესახებ დასდვეს ხელ-წერილები, შეჰფიცეს ერთმანეთს და პირობა დასდვეს აღნიშნულ დღიდან მოესპოთ ყოველგვარი უთანხმოება და ერთმანეთის შევიწროება. ორივე მოწინააღმდეგე მხარეთ წარმომადგენლების ხელმოწერილი ფიცის ფურცლის, შერიგების ოქმის და დარჩენილი ანგარიშების გასწორების ხელ-წერილის ორდერის ასლები ჩემს კანცელარიაში ინახება.

ამ რიგათ საზოგადოებაში გავრცელებული აზრი შესახებ სიღნაღის მაზრის ქართველთა და თათართა შორის დიდი არეულობისა, დღეს უკვე სინამდვილეს აღარ შეეფერება.

## ბოროტ-მოქმედებები თფილისში

სხვა უკულმართობასთან ერთად, ძალიან გახშირდა ბოროტ მოქმედება თფილისში. განსაკუთრებით ამ ბოროტ-მოქმედებებში ქურდობას დ დაცემას უფრო აქვს ფესვები გადგმული ქალაქის მიყრუებულ უბნებში, სადაც უმთავრესად ცხოვრობს წვრილი დემოკრატია და სადაც ყველაზე უფრო დაბნელებული ქუჩებია. მართლაცდა ქალაქის ზოგიერთ განაპირა ქუჩებში ხომ ველარ ეღირსები იხილო ელექტრონის ლამპის შუქი, მთელი განაპირა ქუჩები ღამის წყვდიადს მოუცავს და ქურდ-ბაცაცებიც ადვილად დათარეშობენ ამ წყვდიადით მოცულ მიდამოებში.

მილიციონერებს ხომ კაცი ვერ ნახავს იქ. თუ სადმე არის მილიციონერი, ყველა ცენტრებში არის თავმოყრილი ერთად, ჯგუფ-ჯგუფად და არა ისეთ მიყრუებულ და წყვდიადით მოცულ მიდამოებში, სადაც საშიშარია ადამიანის მიმოსვლა საღამოს შვიდი საათის შემდეგ უმთავრესად კი მილიციონერები თავსიყრიან ღამ-ღამობით ვარანცოვის ძეგლთან და ერევნის მოედანზე. მართალია იქაც უნდა იყვნენ, მაგრამ როდესაც მთელი ქალაქის განაპირა უბნები წყვდიადით მოცულია და ქურდობა გახშირებული, ამისათვის მილიციონერებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ქალაქის განაპირა წყვდიადით მოცულ უბნებს, სადაც თავისუფლად დათარეშობენ ქურდ-ბაცაცები. აბა დამისახელეთ გაზეთის ისეთი ნომერი, რომელშიაც არ იყოს აღნიშნული, რომ ამა და ამ ქუჩაზე ესა და ეს სახლი გაქურდეს, წაიღეს სახლში თუ რამ მოიძებნებოდაო, ამა და ამ კაცს დაეცნენ და წაიღეს ამდენი და ამდენი ფულიო. ერთი სიტყვით ამ ქურდობამ და ბოროტ მოქმედებამ ისეთი სახე მიიღო, რომ თითქმის იძულებული ხდება განაპირა უბნის ხალხი ან თვითონ გამოვიდეს ღამე ქუჩაში თავისი ბინის სადარაჯოთ, რომ არავინ დაეცეს, ან და თითო ეზოში მცხოვრებმა დაიქირაოს თითო კაცი დარაჯის სახით და ასეთი საშუალებით მაინც დაიცავს თავისი ოჯახი გაქურდვისაგან.

მე არ ვიცი ამ მოვლენას როგორ უყურებს ქალაქის დამცველი ადმინისტრაცია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭირო არის ზომების გამონახვა ქურდ-ბაცაცების ასალაგმავათ და ქალაქის განაპირა მცხოვრებთა გაქურდვა-აწიოკებისაგან უზრუნველ საყოფათ.

ნ. ჯიხაიშელი.

## მუშათა შორის

**პარიკმახერებში.** „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ. მგელი კი გაიძახოდა: აგერ მთაზე ცხვარი მიდისო!..

ეს ანდაზა სწორედ პარიკმახერ მუშებზე ითქმის. წაუკითხეთ მათ „სახარება" საჩუქრებზე, უთხარით, რომ საჩუქრების აღება პიროვნების დამცირებაა თქვა, ისინი მაინც გაიძახიან: „ნეტავ კარგი საჩუქრიანი მუშტარი შეგვხვდებოდესო!"

მე მინდა დავანახვო მკითხველ საზოგადოებას, თუ რამდენათ სულიერათ გახრწნილია ეს ხალხი. თქვენ არ იცით საჩუქარი? თქვენ „ნა ჩაის არ აძლევთ მუშა „ინტელიგენტს?" (პარიკმახერები ინტელიგენტს უწოდებენ თავიანთ თავს. ჰგონიათ „გალსტუკის" ტარებაში გამოიხატება ინტელიგენტობა!) მაშ არ გსურთ აჩუქოთ? აბა ... დაგაკაწრიან და რაც ... დაგახედვინებენ!.. ეს იმის ნიშანი იქნება, რომ გაგრძნობინონ: მომეცი საჩუქარი და ამ რიგათ არ მოგექცევიო!.. მაინც არ მისცემთ? მაშ იხადეთ, ბატონებო, ზედმეტი.. აჩუქეთ, მადლობას გეტყვიან, საწყალი ხალხია, პურის ფული... უკაცრავათ, კარტის სათამაშო ფული არა აქვთ. როგორ მოგწონთ, მკითხველნო, ასეთი „მუშები?" ებრძვის ვინმე ამ სამარცხვინო ჩვეულებას? მართალია, არიან ისეთები, რომლებიც ებრძვიან, მარა მათი რიცხვი იმდენად მცირეა, რომ ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ.

მაშ როგორ უნდა მოეღოს ბოლო ამ სისაძაგლეს? მე მგონია საზოგადოებრივმა აზრმა უნდა მოახდინოს გავლენა პარიკმახერ მუშებზე.

ამასთანავე კავშირმა—უკეთ რომ ვთქვათ—კავშირის რამდენიმე წევრებმა, რომლებსაც კიდევ შერჩენიათ თავმოყვარეობა, რომლებიც სასტიკათ ეწინააღმდეგებიან „საჩუქრებს", უნდა მიიღონ ყოველივე ზომები, დაარწმუნონ ამხანაგები, რომ საჩუქრები ჩრდილავს, და თუ გნებავთ, ფეხ-ქვეშ თელავს ადამიანის პიროვნებას; ამას გარდა თვით ზოგიერთი პატივცემული კლიენტი მეტად უხერხულათ გრძნობს თავს „ნა ჩაის" მიცემის გამო.

რისხვა.

## ს.-დემ. პარტიაში

**სურები** (გურია). 6 ენკენისთვეს შესდგა ს. დ. მ. პ. სურების რაიონის წევრთა კრება. კრებას დაესწრო აგრეთვე ისიდორე რამიშვილი. კრებამ შეიმუშავა შემდეგი დღის წეს-რიგი: 1) მოხსენება გურიის ც. კომიტეტისა. 2) მოხსენება მომენტზე. 3) მოხსენება ჩვენი პარტიის საოლქო კომიტეტის და მთავრობის ნაბიჯების შესახებ. 4) საოლქო ყრილობა და იქ გასარჩევი კითხვები. 5) საოლქო ყრილობაზე დელეგატის გაგზავნა. 6) კოლექტივის არჩევნები. პირველათ გაკეთდა მოხსენება გურიის ც. კომიტეტისაგან. კრებამ მოისმინა ყველა დადგენილებანი ც. კ-სა და მიიღო. შემდეგი ორი კითხვის შესახებ ვრცლათ მოხსენება გააკეთა ამხ. ის. რამიშვილმა. ორატორს მისცეს შეკითხვები, რაზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი იქნა მიცემული. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: კრება ერთხმათ იწონებს და ამართლებს საოლქო კომიტეტის და ჩვენი ხელმძღვანელების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, შემდეგ მოხსენება გაკეთდა საოლქო ყრილობის შესახებ. მიწის შესახებ გაკეთდა მოკლე მოხსენება. გამოსყიდვის საწინააღმდეგო არაფერი თქმულა, პოლიტიკური მოსაზრებით და ჩვენი რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობით. კრება ამით დაიხურა.

ტალკვეხი.

---

მადგენლის ან იმათი, ვინც იზიარებს უმრავლესობის პარტიის პოლიტიკას; საიმპერატორო კონსტიტუციის მე-9 მუხლის შეცვლა; სამეფო და სამხედრო უწყების ცნობების გამოქვეყნებამდე ეს უნდა წარედგინოს რეიხს-კანცლერს;

6) დაუყონებლივ შეცვლა ყველა იმ დადგენილებების, რომლებიც ზღუდავს კრებებისა და პრესის თავისუფლებას. ცენზურა შეიძლება მიღებულ იქნას წმინდა სამხედრო კითხვებში (სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის კითხვები, ჯარის გადაჯგუფება, სამხედრო მასალების დამზადება), პოლიტიკურ კონტროლის დაწესება იმ ზომებზე, რომელიც მიღებული იქნება საალყო წესების გამო; გაუქმება ყველა იმ სამხედრო დაწესებულებების, რომლებიც გავლენას ახდენენ პოლიტიკურ ორგანოებზე.

### სტატს-სეკრეტარ შეიდემანის სიტყვა გერმანიის რეიხსტაგში.

(„К. Р." ან)

შინაგან საქმეში პოლიტიკურ წყობილების განახლებაზე ახალი სტატს-სეკრეტარი (უპორტფელო) შეიდემანი, რომელიც დღემდე რეიხსტაგში სოც. დემ. პარტიის, მარჯვენა ფრთის ბელადათ ითვლება, როგორც გერმანიის რადიო ტელეგრაფი გადმოგვცემს, გამოვიდა შემდეგი განცხადებით:

„მე ყველაფერს არ ჩამოვთვლი, რაც ახალმა მთავრობამ მის მცირე ხნის მართველობაში ყოფნის დროს გააკეთა. მას მსჯავრი დაედება არა მისი სიტყვებით, არამედ მის საქმიანობით. ჩვენ ამ დღეებში, პირველ ყოვლისა მივაღწიეთ იმას, რომ დიდი ხნით განმტკიცებული სამხედრო ძალა სრულიად დაემორჩილა... სამოქალაქო ძალას. ამის გამო დღემდე ყოფილი სამხედრო მინისტრი ფონ-შტეინი იძულებული შეიქმნა სამსახურიდან გადამდგარიყო. მან ბევრი გადაიტანა, ვინაიდან ის ყოველთვის ებრძოდა შეთანხმებას და ცხადია მისი ადგილი სამხედრო სამინისტროში უნდა დაეკავა რომელიმე ლიბერალს. ასეთი კაცი იყო შეუხ. ის იმის დაწყების დღიდან იყო რეიხსტაგში და ყოველთვის გათვალისწინებული ჰქონდა ახალი მთავრობის შედგენის საჭიროება. ის არის ადამიანი მოხმობილი ახალი დანიშნულებებისათვის. მაშინ აგრეთვე თავიანთი თანამდებობიდან გადაყენებული იქნენ ორი უმაღლესი სარდლები: ფონ-კალი ნგოფი და ჰანნიხი, (ორივეს გვარები შეშლილია ტელეგრაფში) როგორც ჩვენ უკვე ვიცით ესენი ხშირათ გამოდიოდნენ და ნებას აძლევდნენ თავიანთ თავს, სამხედრო ძალის გავლენით, გადასცდომოდნენ მოქმედების საზღვარს. ამას შედეგათ მოჰყვა ის განსახიერება, რასაც ჩვენ მილიტარიზმს უწოდებთ. ეხლა, მომავლისათვის საჭიროა დაწესდეს, რომ ომის დროს, სამხედრო ძალა დაემორჩილოს სამოქალაქო ძალას, ე. ი. რეიხს-კანცლერს. ყველა უმაღლეს სარდლების დადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებულია ტერიტორიის საქმესთან უნდა სწყდებოდეს ობერ პრეზიდენტის თანხმობით.

როდესაც თავს წამოყოფს დიდმნიშვნელოვანი სადაო მოვლენა, მის გადაჭრის უფლება ეკუთვნის სამხედრო მინისტრს შეუხს, რომელიც თავის მხრივ ლებულობს რეიხს-კანცლერის თანხმობას და ეს უკანასკნელი არის ყველაფერში პასუხისმგებელი. ამნაირათ, ახალი სული მკვიდრდება ჩვენს ცხოვრებაში. ასეთ ნაირათ საქმის გაგება გამოდის თვით ფაქტებიდან და სწორეთ ამან აიძულა კაბინეტის უფროსი ფონ-ბერგი დაეტოვებია თავისი ადგილი. მან უკანასკნელ კაბინეტის შედგენაში შეიტანა ერთნაირი შერეული წესი, რომელმაც გერმანიის მრავალრიცხოვან პარტიათა შორის გამოიწვია უკმაყოფილების გამოძახილი. ამის გამო მას არ შეეძლო თავის ალაგზე დარჩენა. შენიშვნაზე, სამუდამოთ განდევნილია თუ არა გერმანიის მილიტარიზმი, სტატს-სეკრეტარმა თანხმობით უპასუხა და გააგრძელა... (შეწყვეტილია) მაგრამ ძლიერების მხეცური სული, რომელიც ხმლის საშუალებით ამცირებდა ყოველივეს, სცდილობდა აგრეთვე მოქცეულიყო პოლიტიკის სათავეში. ასეთი სული ვერ შეიგუა დრომ და ის მოიცილა გერმანიამ.

მე თვითეულ ამ საკითხს ისე ვუყურებ, როგორც სხვა პარლამენტის წევრები, მე მუდამ ყოველივეს ვამხილებდი. ეხლა მე ამით ვფიქრობ, რომ ფეხსა ვსდგამ ხალხთა შეკავშირების საქმეში, რომლის ღირსების დაფასებაში და სარგებლობაში მე ვითა კლდე დარწმუნებული ვარ. როდესაც სახელმწიფოები უარს იტყვიან ძალის უფლებაზე, მაშინ ისინი ეჭვი არ არის, ვალს მოიხდიან თავიანთი უმაღლეს უფლებების წინაშე. აგრეთვე მოქალაქეც დასტოვებს თვითნებობას, როდესაც მას სამსჯავროს წინაშე წარსდგომა მოელის. ყველა სახელმწიფოები „პატივმოყვარეობის საკითხის" (ehre frage) გულისათვის უნდა ემორჩილებოდნენ სამედიატორო სასამართლოს, რომ ხალხს რწმენა ჰქონდეს იმისა, რომ მათი წარმომადგენლები სამედიატორო სასამართლოში თანხმობისათვის არიან მოწვეულნი. ძლიერ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს სუსტ სახელმწიფოზე მეტი უფლება.

### მდგომარეობა გერმანიაში.

(გაზ. „ფორვერტსი-დან").

(28 სექტემბრის ნომერი).

დღეს ჩვენ მტკიცედ უნდა გავითვალისწინოთ და წარმოვიდგინოთ მოსალოდნელი ჩვენი მომავალი. ბულგარეთი გამოვიდა ოთხთა კავშირიდან და ზავს კრავს შეთანხმების სახელმწიფოებთან, ავსტრო-უნგრეთი და ოსმალეთი მიბაძავენ ბულგარეთს და გადასდგამენ ასეთსავე ნაბიჯებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ დავკარგავთ ყოველივე გავლენას პოლონეთის და უკრაინის იმ ნაწილებზე, რომელიც დაპყრობილია ავსტრო-უნგრეთის მიერ. და აი ჩვენ ვრჩებით განმარტოვებულათ, ვიბრძვით ფრანგების, ინგლისელების, იტალიელების, ამერიკელების და სხვა ხალხთა წინააღმდეგ. ვიბრძვით და თანაც ვგრძნობთ, რომ მიკრული ვართ კედელთან და თვალწინ გვიდგას ჩვენი დაღუპვის დღე. ჩვენ უნდა ავწეროთ ეს სურათი ბოლომდე, სასოწარკვეთილება იპყრობს ჯარს, ირღვევა დასავლეთის ფრონტი, მტერი ლამობს შემოიჭრას ჩვენს ტერიტორიაზე. გერმანიის ქალაქები ცეცხლში და კვამლში იღუპებიან. ლტოლვილები მოისწრაფიან შიგნით ქვეყანაში, ბრბოს რიცხვში ერევიან უგზო უკვლოთ გამოქცეული ჯარის კაცები, ქალაქებს და სახლებს ავსებენ, ღამეებს ცისქვეშ ათენებენ, უყენებენ მთავრობას შეუსრულებელ მოთხოვნილებებს, ქმნიან ყველგან უიმედობის და დამარცხების ატმოსფერას.

სურსათის შემოტანის იმედი აღარ არის. ქუჩებში ვხედავთ ხალხს შიმშილისაგან ძალა გამოლეულებს, აღარ გვაქვს ნახშირი, ყოველისფერი ბნელეთმა მოიცვა, შესწყდა ტრამვაის მოძრაობა, სამრეწველო დაწესებულებანი სწყვეტენ თავიანთ მოძრაობას, ითხოვენ მუშებს მუშებს, რომელნიც დღეს მუშაობენ ომის მიერ გამოწვეულ დაწესებულებებში და კვირაში 100 მარკას იღებენ, ხვალ არაფერი ექნებათ და ვერ შესძლებენ სურსათის შოვნას, რომელიც ასეთ საზღაპრო ფასებში იყიდება.

მილიონობით არიან ოჯახები, სადაც იგონებენ იმ კარგ დროს, როდესაც 7 გირ. კარტოფილი და 4 გირ. პური ქონდათ კვირაში, მხოლოდ ეხლა იგრძნეს რა ძნელი ყოფილა ღატაკობა.

ასი ათასობით ხალხი იღუპება, სასოწარკვეთილებას მისცემიან ცოცხლათ დარჩენილები. ვინ იცის, რამდენ ხანს კიდევ ვიცოცხლებ და არ სჯობია შური ვიძიო მაზე, ვინც ამ მდგომარეობაში ჩამაყენაო. ხდება აქა-იქ აჯანყებები, რომელსაც ცეცხლით და მახვილით აქრობთ, გარეშე ომის მაგიერ—შინაური ომი. სანგრები ქუჩებში, ტყვიისმფრქვევლები სახლებში, ადამიანთა გვამები ქუჩებში. ყველა სიკვდილის აჩრდილმა მოიცვა, სიკვდილი შიმშილისაგან, ტყვიისაგან და გადამდებ ავადმყოფობისაგან. სამკურნალოში მიმავალი ავადმყოფები ეცემიან გზაში, მათ დროგებზე ათავსებენ და მიყავთ ქალაქგარეთ და უკუბოთ ასაფლავებენ. ამისდა მიუხედავათ მოქმედობს მთავრობა, უდგება სათავეში მთავრობას ის პარტია, რომელიც იმარჯვებს, რადგანაც მთავრობამ არ იცის ძალა, თავის უკან მდგომი, რომელიც შესძლებს წინააღმდეგობის გაწევას, და ამის გამო აძლევს ყოველისფერს მტერს, რასაც ის მოისურვებს ტერიტორია გინდა თუ ოქრო. იძლევა მილიარდიან ვექსილებს, ასრულებს ყოველივე მოთხოვნილებას, რადგანაც მას ესაჭიროება ზავი, ზავი რა შემთხვევაში და რა პირობებშიაც არ უნდა მოხდეს. მაგრამ ეს ზავი არ იქნება ხალხის მასაზრდოვებელი. ის ჩვენ ცხოვრებას ჯოჯოხეთად გადააქცევს, ის იქნება ომზე უარესი.

სწორეთ იმიტომ, რომ ეს სურათი ჩვენ არასოდეს არ გვშორდება, ჩვენ სოციალ-დემოკრატები ნაციონალურ თავდაცვის ნიადაგზე ვდგევართ. რასაკვირველია, ამ მთელ სურათშიაც იქნება ნათელი ადგილები.

ეხლა დადგა დრო, როცა ჩვენ დაუფარავათ უნდა ვსთქვათ, და ჩვენ გადავსწყვიტეთ ასე ვიმოქმედოთ.

საერთო არევ-დარევის პროცესში ჩვენ უნდა გავაქარწყლოთ ბევრი ისეთები, რაც ჩვენ სოციალ-დემოკრატებს დიდი ხანია გვსურდა გაგვექარწყლებია. აუარებელ უსამართლობასთან ერთათ ხდება ზოგიერთი აქტი ისტორიული სიმართლისა. გადატრიალება დამთავრებული იქნება.

მაგრამ ვის შეუძლია ასეთი ფასები მისცეს იმაში, რაც შეიძლება ბევრათ ადვილათ შევიძინოთ. ვინ იქნება ისეთი სასტიკი, რომ თავისი საკუთარი ხალხი გადაყაროს აუწერელ მწუხარების უფსკრულში, თუ მას შეძლება აქვს წინ გადაეღობოს ამას?

ამიტომ, არა გაბატონებულ კლასების ინტერესების დასაცავათ, მთელი თავისი სიძლიერით შენახულ უნდა იქნას დასავლეთი ფრონტი! ჩვენი ხალხის თითოეულ შვილს, რომელიც ფრონტზე იმყოფება, უნდა ესმოდეს, რომ ეხლა მას მეტი პასუხისმგებლობა აწევს, ვინემ ოდესმე.

ჩვენ ეხლა არ ვფიქრობთ დაპყრობაზე, ეხლა მთელი საქმე ის არის, რომ ზავის კითხვას შევეხოთ ისე, რომ აუტანელი ტვირთი არ დაგვაწვეს თავზე.

ყოველ მხრივ აშკარად სჩანს, რომ ომი დიდხანს ვერ გასტანს. რამოდენიმე კვირის გამაგრებას შეუძლია გვიხსნას ჩვენ უბედურებისაგან.

მთავრობამ ყოველგვარი ზომა უნდა მიიღოს, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით, თავის მოკავშირეებთან ერთად საზავო მოლაპარაკება დაიწყოს. სამშვიდობო კონფერენციაზე უნდა გამოცხადდეს გერმანიის დემოკრატიის მთავრობა და აუცილებელია გარანტია, რომ ის მოწვეულია მთავრობაში არა იმიტომ, რომ ძველი პასუხისმგებელნი ძველი ცოდვებისათვის განთავისუფლოს უსიამოვნებისაგან ზავის ჩამოგდების დროს, არამედ იმიტომ, რომ ხალხის სურვილების თანახმად, ის შევიდა მთავრობაში, დარჩება და დაიცავს ხანგრძლივ მშვიდობიანობას.

მხოლოდ ხალხთა კავშირსა და საერთო დემობილიზაციას შეუძლია მისცეს მთავრობას და მთელ ხალხს ის აუცილებელი ძალა, რომელიც საჭიროა იმის აღსადგენათ, რაც ამ ოთხი საშინელი წლის განმავლობაში დაინგრა.

საზავო მოლაპარაკების მთავრობა უნდა იყოს ხალხის მთავრობა, რომელსაც მიჰყვება მთელი ხალხი—რომ უზრუნველყოფილ იქნეს, ერთის მხრივ, მომავალი ზავის სიმტკიცე და მეორეს მხრივ დაუპირდაპიროთ ხალხის სურვილი იმპერიალისტებისას, რომლებიც მოწინააღმდეგის მოთხოვნილებებით ძირს უთხრიან გერმანიის მომავალს. მაგრამ მთავრობას შეუძლია ყველა ამის გაკეთება ფრონტის სიძლიერით და შიგნით ქვეყნის მშვიდობიანობით. ის უსაშინელესი ომი, რომელიც მთელ კაცობრიობამ განიცადა, თავდება იმისდაგვარად, როგორც ამას შორს მჭვრეტელი ხალხი ამტკიცებდა მის დაწყებისას—როგორც თავდაცვითი ომი გერმანიის ხალხისა. როგორც ასეთი, ის უნდა დამთავრდეს რაც შეიძლება ჩქარა და სასურველად.

ჩვენი ხალხი ღირსეულად ეზიდებოდა თავის მოვალეობას და უკანასკნელ დრომდაც არ დასტოვებს მას. მაგრამ ჩვენც, ხელმძღვანელმა წრეებმა, უნდა შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა. მადლობელი იყავით ყველა იმაზე, რის შენარჩუნება თქვენ შესძელით და გაიგეთ, რომ დადგა დრო როცა ხალხი თვით განაგებს თავის თავს.

# პროვინცია

**თელავის მაზრა** კახეთში ძალიან გავრცელებულია სენი. ამ დღეებში ს. კონდოლში ერთ ოჯახში სამი სული მოკვდა. მაგრამ ავამყოფობით მკვდრებს ვინ დაგიდევთ, როცა შიგ შუა ქალაქში თითქმის მუდამ ღამე ქუჩაში მკვლელობა ხდება და მკვლელები კი თავისუფლათ დათარეშობენ. საკმარისია კაცის მკვლელი იქვე ხევს გადმა გავიდეს სოფელში, რომ მას ხმის გამცემი აღარავინ ჰყავდეს, ვითომ საზღვარს გარეთ გასულიყოს, მთელი მაზრა ყაჩაღების ბრბოებით ივსება. ციხიდან თავისუფლათ გადიან. მძიმე საქმის ჩამდენი ტუსაღები (7 კაცი) გაიქცა. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ადმინისტრაციის მოქმედება არ სჩანს. ეს ერთი ხანია, რაც წინანდლის რაიონის კომისარ ვინმე საყვარელიძეზე აღმაშფოთებელი ხმები დადიოდა, რომელიც ათასგვარ ბოროტებას სჩადიოდა.

ამ დღეებში ჩამოვიდა საგუბერნიო კომისრის თანაშემწე ჩიქოვანი. ერთი კარგი საქმე მაინც გააკეთა ჩიქოვანის მოსვლამ. ეს ის არის, რომ წინანდლის რაიონს მოაშორა გლეხების მძარცველი კომისარი საყვარელიძე. გეგონოთ თუ არა კისისხევის და წინანდლის გლეხებს საგუბერნიო კომისრის თანაშეწის მოსვლა, მაშინვე მიჰმართეს თხოვნით და საბუთებით, რომ ეხსნათ თავი თავგასულ კომისრისაგან. ჩიქოვანმა დანიშნა ადგილობრივი გამოძიება, რომელსაც დაესწრო სამაზრო კომისრის თანაშემწე ქ. აბაშიძე. იგი დამნაშევეთ იცნეს, მაგრამ სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ კარგი ატესტაცია მისცეს.

დემოკრატიის და მის ორგანიზაციების წმინდა მოვალეობას შეადგენს ყველას მოქმედებას ფხიზელი თვალყური ადევნოს და თუ ვინმე გაჰბედავს და ბოროტათ გამოიყენებს თავის უფლებას, ვინც არ უნდა იყოს, შესაფერი პასუხი გასცეს და ლაგამი ამოსდოს. ამას მოითხოვს დემოკრატიის ინტერესები.

**კახელი კორესპონდენტი.**

---

**ქ. ხაშური.** საქალაქო დუქანმა უკვე დაიწყო მუშაობა. საქონელი ჯერ ჯერობით სამყოფი აქვთ. საქონელს გარდა პურისა, შაქრისა, მარილისა, აწვდის ქალაქში სხვადასხვა სახელმწიფო თუ საზოგადო დაწესებულებებში მოსამსახურეთ დაკლებულ ფასში. ქალაქის გამგეობის ასეთი სასურველი ნაბიჯი, უმსუბუქებს ცხოვრებას დაწესებულებებში მოსამსახურეებს.

ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ 160 პუნქტზე დავდასხმას აპირობენო. ამიტომ ქალაქის გამგეობა იძულებული გახდა, რადგან ამ პუნქტის საწყობი ქალაქის განაპირად იყო და დარაჯობა მისი სათანადოთ არ იყო მოწყობილი, ამ პუნქტის ქონება ქალაქის საწყობებში გადმოეტანა.

თანახმათ ქალაქის საბჭოს დადგენილებისა მე-160 პუნქტის ქონების ქალაქზე გადაცემის შესახებ მთავრობას დელეგაცია გაეგზავნა; შუამდგომლობა შეწყნარებულია. თუმცა ჯერ-ჯერობით ოფიციალური განკარგულება არ მოუხდენია მთავრობას.

თანახმათ ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, ქალაქის გამგეობამ განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა ქალაქ სურამში უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლის გახსნის შესახებ და ხაშურიდან სურამში საქალებო გიმნაზიის გადმოტანის შესახებ. ქალაქის გამგეობამ სამინისტროდან უმაღლესი სკოლის გახსნის ნებართვა მიიღო, მხოლოთ საქმე იმაშია, რომ იანვრამდინ ამ სკოლის შენახვა ქალაქმა უნდა იკისროს. იანვრიდან კი, სამინისტროს განმარტებით და დაპირებით მის ხარჯებს მთავრობა იკისრებს. ეს წინადადება ქალაქის საბჭომ მიიღო და დაავალა გამგეობას მიიღოს ზომები, რომ სკოლამ რაც შეიძლება მალე დაიწყოს მოქმედება.

საქალებო გიმნაზიის სურამში გადმოტანის შესახებ საკითხი ჯერ-ჯერობით გადაჭრილი არ არის სამინისტროს მიერ, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს შუამდგომლობა შეწყნარებული იქნება. ყველამ კარგათ იცის, და თვით მშობლებმა უკეთ, რომ საქალებო გიმნაზიაში ბინის უქონლობის გამო სწავლა სწარმოებს არა ნორმალურ პირობებში: სწავლა იწყება სადილს უკან, და ამიტომ ბევრი საგნები, როგორც მაგალითად: ხატვა, გალობა, ხელსაქმე და ხშირათ სხვა საგნებიც სრულიად არ ისწავლება დროის უქონლობის გამო. მერე მატარებლებიც ისე არ არის მოწყობილი, რომ გათავდება მეცადინეობა თუ არა, შეგირდები მაშინვე წავიდ წამოვიდნენ სახლებში. ხშირათ სამ-ოთხი საათი უხდებათ ცდა.

საჭიროა მთავრობამ დროზე მოახდინოს სათანადო განკარგულება და მით ერთხელ და სამუდამოთ სწავლა ნორმალურ პირობებში ჩააყენოს. ამ მხრივ კი გიმნაზია სურამში უზრუნველყოფილი იქნება. მას ეთმობა საუკეთესო ბინა, სადაც სწავლა იწარმოებს ნორმალურ პირობებში. გიმნაზიის სამუდამოთ სურამში გადმოტანით სურამის ქალაქის საბჭო დაინტერესებულია, ის მუდამ მზათ იყო და დღესაც მზათ არის ხაშურთან ერთად ხელი შეუწყოს შენობის აგებაში მთავრობას; ამისთვის თუ საჭირო იქნება სურამი შესაფერ ადგილსაც დაუთმობს მთავრობას გიმნაზიისათვის.

აი ეთია სურამელების განზრახვა და ამას როგორც მთავრობამ, ისე ხაშურის საბჭომ მხარი უნდა დაუჭიროს.

Calis.

---

**სოფ. საქარა** (იმერეთი). ერთი წარმოდგენით ჰფიქრობ, აბა რა ეპოლიტიკება გლეხს, შემოდგომის გაჩაღებულ მუშაობის დროსო, მაგრამ ჩვენი გლეხობა მსოფლიო მდგომარეობაზე გეკითხება და გებაასება მუდამ. დიდი პატივისცემით და ნდობით შეჰყურებენ ჩვენს მთავრობას. მატერიალური მხარე ჩვენი გლეხობისა არც ისე სავალალოა. მეტადრე წლევანდელ მოსავლის შემდეგ. სიმინდის და პურის მოსავალმა იმედებს გადააჭარბა; გვიმუხთლა ყურძნის მოსავალმა. ეს მხარე ისეთია, რომ მოსავლის მხრივ ყოველთვის უზრუნველყოფილი იქნებიან მცხოვრებნი, მაგრამ სრულიად არსად სჩანს აგრო კულტურული მუშაობა და აგრონომი მგონი ერთის მეტი არაა მთელ მაზრაში.

სახაზინო გადასახადს მცხოვრებნი შეგნებით და ულაპარაკოთ იხდიან, რაც უნდა მიეწეროს მათ წინდახედულებას; სოფლის ადმინისტრაციაც უტყვნეულოდ ასრულებს განკარგულებებს.

ძლიერ აწუხებს გლეხობას უტანსაცმელობა. ამაშია მათი სავალალო მდგომარეობა და გულის ფანცქალით მოელიან ამ მხრივ გაუმჯობესობას.

ქვედა საქარის სამკითხველოს მკითხველთა ნაკლებობა ემჩნევა. ამ სოფელში მემამულეები ძლიერ ცოტანი არიან და ამიტომაა გლეხობა არც ისე დაინტერესებულია მიწების ჩამორთმევის საკითხში, მაგრამ ერთი კი აშკარაა, რომ საკუთრებას ვერავინ გამოგლეჯს ხელიდან.

ძალათ ჩამორთმეული სიმინდი ნატურით, რომელიც ხდება ადგილობრივ კომიტეტების განკარგულებებით და რომელიც თვით სოფლის სამმართველოში ინახება, ბევრია, და ასეთ შემოსავალს თუ მისცემს ყველა სოფლები ხაზინას მისი მდგომარეობა გაუმჯობესდება.

ადგილობრივ კოოპერატივზე და მის მწარმოებლებზე ის ითქმის, რომ რამდენათაც შეიძლება დღევანდელ პირობებში, ისინიც მუშაობენ საქმის სასურველად წასაყვანად.

ქურდობა აქეთ ძლიერ იშვიათია, რაც უნდა აიხსნას მოსავლის გულუხვობითაც. ამ სოფელში არც ყაჩაღობაა, მეზობელ სოფლებს კი ასეთი არ შორდება, მაგრამ საბედნიეროთ, სოფლის და მაზრის ადმინისტრაცია თავის ალაგზე სდგას.

იარაღის კრეფა გრძელდება და ამიტომაცაა, რომ სროლა იშვიათია ბევრმა გადამალა იარაღი, მაგრამ როგორც სადგისს ტომარაში ვერ დამალავ, ისე ისინი ვერ მალავენ მუდმივად, რადგანაც ხანდისხან „უცაბედათ" გაუვარდებათ ხოლმე და მილიცია ფრთხილად არის.

ავათმყოფობა გახშირდა. ექიმი ხუთ თუმან ნაკლებ არ მიდის სამი ვერსის მანძილზე ყვირილიდან

როცა გლეხებს უამბეთ მესხეთიდან ოსმლების წასვლის ამბავი, აღტაცებაში მოვიდნენ.

ძლიერ სასიამოვნოა, რომ ადგილობრივ ინტელიგენციას, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მცირე გამონაკლისს, არ სძინავს. მათ, ს. დ. ნაწილს, დაუარსებიათ ყვირილის ს. დ. პარტიის გადაწყვეტილებისამებრ კავშირები სოფლად. შესდგომიან წყარო გზების კეთებას. საერთოდ სოფლად ამ ხანაში სიცოცხლის მაჯა სცემს.

ერთი ნაკლულევანება მაინცაა. გაზეთები თითქმის არსად სჩანს

**საქარელი მ.**

---

**სოფ. წითელმთა** (გურია). ბათუმის დაცემის და ოზურგეთში მტრის შემოსვლის შემდეგ ს. წითელმთა ბრძოლის ველათ გადაიქცა და ამ სოფლის მცხოვრებთა სარჩო-საბადებელი განადგურდა —წაილეკა. მიუხედავათ მრავალი გაჭირვებისა, მცხოვრებლები სულით არ დაცემულან და ადგილობრივ მოწინავე ამხანაგების დახმარებით კულტურულ საქმიანობას მოჰკიდა ხელი. თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა, სათანადო შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ სამოსწავლო მთავრობამ გახსნა პირველ ოქტომბრიდან ს. წითელმთაში პირველ დაწყებითი სასწავლებელი და დაუნიშნა მასწავლებელი სახაზინო ხარჯზე, რამაც მცხოვრებთა შორის უსაზღვრო აღფრთოვანება გამოიწვია და სახალხო სკოლების ინსპექტორს, ბ. ილია ფირაძეს, როგორც სამოსწავლო მთავრობის წარმომადგენელს, ოზურგეთის მაზრაში გულწრფელ მადლობას უცხადებს შუამდგომლობის შეწყნარებისთვის და ოზურგეთის მასწავლებელთა კავშირის ფილიალურ განყოფილების თავმჯდომარეს, პარმენ თოთიბაძეს კი დახმარებისათვის.

3 ოქტომბერს საზოგადო კრებაზე სკოლის სასარგებლოთ შეაგროვეს 795 მან. რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან შემომწირველნი.

**აჭარელი სოსო.**

---

# წერილები რედ. მიმართ

**პასუხი შარუხია-ლეჟავას**

მე გდებდით თქვენ იმ ბრალს, რომ ნამდვილ სპეკულიანტებს თქვენ არ ჩამოართვით შაქარი და სოდა, თქვენ კი მიპასუხებთ, რომ სოდის პატრონი ჯარისკაცები აღმოჩნდნენო, ხოლო შაქრის პატრონმა კოოპერატივის მოწმობა წარმოადგინაო და მიტომ დავუბრუნეთ საქონელიო. ნუ თუ გგონიათ, რომ ამით თქვენ თავი გაიმართლეთ? არა, ბ ნნო შარუხია-ლეჟავა, ასეთი აბდა-უბდებით თქვენ შორს ვერ წახვალთ და აი რატომ: როდესაც ჩემ და ბევრ სხვათა თვალწინ თქვენ ჩხრეკა მოახდინეთ და სოდისა და შაქრის პატრონებს არავითარი გასამართლებელი საბუთი არ აღმოაჩნდათ, თქვენ ესენი ვაგონიდან გაიტანეთ, ე. ი., გასაგები ენით რომ ვთქვათ, მოახდინეთ კონფისკაცია. მაგრამ არ გაგიჯიუტდებით და დაგეჯერებთ, რომ ერთი საათის ან საათ ნახევრის შემდეგ თქვენ და ამ საქონლის პატრონებმა სადღაც, შორს ხალხის თვალიდან, გამართეთ მოლაპარაკება და, როგორც თქვენ ბრძანებთ, გასამართლებელი საბუთებიც აღმოაჩინეთ, მაგრამ აქ ერთი გარემოება მაიძულებს იქვე შევიტანო თქვენ ასეთ განცხადებაში. როდესაც მე მარელისის სადგურზე სადგურის უფროსი შემოვიყვანე ჩემი ბარგის სანახავად, რაშიც თქვენ უსამართლოდ გადამახდევინეთ ფული, რატომ მოხდა, რომ ეს სოდა-შაქრის პატრონი სპეკულიანტები დაფრთხნენ და სოდა-შაქარი ხელად ვაგონის სახურავზე აარბენინეს. თქვენ ამ დროს არ ვიცი სად ბძანდებოდით, მაგრამ იმ ვაგონის მგზავრები კი, სადაც ეს ამბავი ხდებოდა, ყველა მოწმე იყო. და აი ახლა მე გეკითხებით თქვენ, თუ მართლა მათ გასამართლებელი საბუთები ჰქონდათ, რაზე ფრთხებოდნენ ვაგონის სახურავზე თავიანთ გუდა-საცალოებით. განა აქედან არ სჩანს, რომ თქვენ მიერ ნახსენები მოწმობები მოგონილი ზღაპრებია, რომლებითაც დააჯერებთ მხოლოდ მეტად გულუბრყვილოებს, თორემ სხვას ვერავის?

შემდეგ მე ვამბობდი და ეხლაც ვიმეორებ, რომ ის წესი, რომლითაც ხდება მატარებლებში ბაგაჟის გადასახადის მოგროვება დაცვის აგენტების მიერ, მეტად უვარგისი და დასაგმობია მეთქი. ბაგაჟის პატრონს ვაგონში გადასახადს ახდევინებენ, კვიტანციას არ აძლევენ, ჰპირდებიან თფილისში მოგცემთო, იქ მგზავრს ავიწყდება და ხდება ბოლოს ისე, რომ ნახევარზე მეტი მგზავრი, კვიტანციას ვერ ღებულობს. მე გეკითხებით თქვენ, შარუხია-ლეჟავა, რომელნიც თავს იწონებთ მცყაითი სამსახურით, შეიძლება თუ არა აქ ბოროტების ჩადენა დაცვის აგენტების მიერ? მართალია, თქვენ ამბობთ, შტაბმა გვიბძანა და ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთო, მაგრამ მე-კი ვიტყვი, რომ ეს სისტემა უვარგისია და უსათუოდ უნდა იქნას შეცვლილი.

მაგრამ, თუ აქ შტაბი მოიხმეთ მოწმეთ, მეორე დანაშაულში შტაბს ვეღარ დაიმოწმებთ. ერთი მიბძანეთ, რომელმა შტაბმა ან სამინისტრომ მოგცათ თქვენ უფლება ჩხრეკა მოახდინეთ და ნუ დაისწრებთ ნურც ვაგონის კონდუქტორს, ნურც ობერს, ნურც მატარებლის უფროსს და ერთის სიტყვით ნურავის სარკინიგზო ადმინისტრაციიდან. თქვენ არ მოიქეცით თანახმად შტაბის განკარგულებისა, მაშასადამე ხართ დამნაშავენი.

შემდეგ თქვენ წამართვით უსამართლოდ შვიდი გირვანქა შაქარი, კუთვნილი ხუთი სულისა და ამაგლიჯეთ უსამართლოდვე 16 მანეთი წვრილი ბარგისა, რომელთა სიმძიმე არ აღემატებოდა ორ ფუთს და ესენი თქვენ მე დამიბრუნეთ ხაშურის სადგურზე იმის შემდეგ, როდესაც მე ვიჩივლე მარელისის სადგურის უფროსთან და შესაფერი ოქმიც შევადგენინე უფროსს მილიციონერს, ოქმს ვურთავ „ერთობის" რედაქციას. რაიცა შეეხება იმას, რომ თქვენ ქცევას მე ვუწოდე უზრდელი, უდიერი, უნდა ამას დავუმატო კიდევ ისიც, რომ თქვენ, ბ ო შარუხია, თანაშემწე ლეჟავა შემუქრებოდა სიტყვის შებრუნებისათვის დატუსაღებით.

დასასრულ თითქოს მიწყრებით კიდეც, თუ რატომ მოგცხეთ მე თქვენ დაუმსახურებელი ჩირქი, მაგრამ მე მოგცხეთ ჩირქი, თუ თქვენ სცხებთ ჩირქს თქვენის დაუფიქრებელის მოქმედებით საქართველოს რესპუბლიკის სიამაყეს, გვარდიას, დეე ეს კითხვა გადასჭრას მკითხველმა საზოგადოებამ.

**მ. მირიანაშვილი.**

---



# განცხადებანი

## იჯარით იძლევა

თფილისის არტისტიულ საზოგადოების კლუბის **ბუფეტი და სამზარეულო.**
იკითხეთ კანტორაში სალ. 8—10 ს.
(3—1)

---

ე ქ ი მ ი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

---

ე ქ ი მ ი
**დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება სღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

---

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**
(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

---

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

---

ე ქ ი მ ი
## ლ. ა. სარაჯიშვილი

იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

---

ე ქ ი მ ი
## გ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის ჰოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ № 32.

---

**კბილის საექიმო კაბინეთები**
**თედორე საყვარელის ძე ცხოველიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

---

**მიხეილის ქირურგ. სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობელი ქირ. და ქალთ 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. სალ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

---

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53.

---

ე ქ ი მ ი
## ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

---

## ექ. დიასამიძემ

განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 სალ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15. ტელ. 18—03.

---

**სამკურნალო კაბინეთი**
**ექიმ ალექსანდრე დავითის ძის**

## კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

---

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

---

ე ქ ი მ ი
**ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე**
ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილის 11—12 საათ. და სალ. 6—7 საათ. მისამართი: უდქლნი ქ. № 14.

---

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და სალამ. 5—7 ს ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

---

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
**(მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა)** ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

---

ქ. ხ ო ნ ი.
**ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალაღანია.**
იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს. მდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

---

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

---

მედ. დოქტ. ა. ბ. ... [illegible]
მედიცინის დოქტორი ... უნივერსიტეტისა და ... მედიკურ-ქირურგიული ... [illegible] შინაგანი ... ავადმყოფთ ... [illegible] ... დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

---

**რენგტენისა და ელექტრონის სხივებ. სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენგტენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. ვ. ლევენშტეინისა.**
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენგტენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენგტენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭაჭების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

---

**მედიცინის დოქტორი**
**ბერლინის უნივერსიტეტისა**

## გ. გ. მეგრაბიანცი

**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

---

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მშარ. წრე.

## სახალხო სახლი.

კვირას, 20 ოქტომბერს, 1918 წელს წარმოდგენილი იქნება

# ნამუსისათვის

დრამა 4 მოქმედებად შირვანზადესი, თარგ. ე. კ—ნის მიერ.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი: ანკარა, გოგოლაშვილი, რომანიშვილი-დგებუაძისა, ჰაურელი; ბბ. გოცირიძე, გონაძე, ბაქრაძე, მინდიაშვილი, მეტრეველი, თავდგირიძე, იმერელი.

დასაწყისი სალ. 8 საათზე. ადგილების ფასი 3 მ.—50 კ. მდე.

**რეჟისორი ნ. გოცირიძე.**
რეჟ. თანაშემწე **ალ. ბადრიძე.**
(2—2)

---

დღეს, 20 ოქტომბერს დილის 10 საათზე ორთაჭალის პოლიტიკურ მუშათა კლუბის დარბაზში დანიშნულია მე 6 რაიონის (4 და უბ.) ს.-დ. მ. პ. წევრთა საერთო

# პარტიული კრება

**დღის წეს რიგი:** 1) მოხსენება კოლექტივის მუშაობის შესახებ, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 3) კოლექტივის რეორგანიზაცია, 4) არჩევნები თფილისის კომიტეტის წევრისა, 5) შემუშავება პარტიულ ყრილობის დირექტივებისა, 6) არჩევნები პარტიულ ყრილობის დელეგატისა, 7) მუშაობის გაუმჯობესება მცირე კოლექტივებში, 8) მიმდინარე კითხვები.

**კოლექტივის პრეზიდიუმი.**

---

## სახელმწიფო თეატრი.

ოპერის სეზონი 1918—19 წ. დ ი რ ე ქ ც ი ა ლ ე ვ ი ც კ ი ს ა.

კვირას, 20 ოქტომბერს

# რ ი გ ო ლ ე ტ ტ ო

ოპერა 4 მოქმედებათ, მუსიკა ვერდისა.

**მონაწილეობენ:** ქ. ქ. აგასოვა, მოროზოვისა, გედევანოვისა, ბ ნი ზალიპსკი, ორდა, ისეცკი, ზუბარევი, ეზროვი, კურბ ტოვი.

**დირიჟორი სამოსუდი.** დასაწყისი სრულ 8 საათზე.

კასა ღიაა დილის 10—2 ს. და საღამოს 6 საათ. წარმოდგენის გათავებამდე.

---

ამ დღეებში განახლდება გამოცემა **იუმორისტულ ჟურნალ**

# „ეშმაკის მათრახი"-სა

**ე შ მ ა კ ი ს** მთავარი მონაწილეობით.

---

20 ოქტომბრიდან ქ. ქუთაისში განახლდა გამოცემა

გაზეთ **„სოციალ-დემოკრატი"**-სა.

მკითხველებს შეუძლიანთ მოიკითხონ ყველა პროვინციელ აგენტებთან.

**გაზ „სოციალ დემოკრატი"-ს კანტორა.**

---

## სურამის ქალაქის თვითმართველობა

აცხადებს, რომ ქ. სურამში ამ წლის 1 ნოემბრიდან იხსნება პირველდაწყებითი

## უმაღლესი სასწავლებელი (პირველი ორი კლასი)

**ვაჟების და ქალებისთვის.** მსურველ მოწაფეთ თხოვნები უნდა გამოგზავნონ სურამის ქალაქის სასკოლო კომისიის წევრის კ. ს. წუწუნავას სახელზე, ხოლო მასწავლებლებმა—ქალაქ სურამის გამგეობის სახელზე.

(5—1) **სურამის ქალ. გამგეობა.**

---

## ქ. ხაშურში (მიხაილოვი)

**იყიდება** (შეიძლება იჯარითაც გაცემა) ორ სართულიანი ახალი აშენებული ქვითკირის სახლი ექვსი ოთახი, შუშაბანდით და ღია აივნით. გიმნაზიის ახლო, ბორჯომის რკინის გზაზე—მიწა ზომით 1050 ოთხ. საჟ. ორი წლის ხეხილიანი ბაღით, ეზოში წყაროს წყლით, შემოღობილი. პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ვარდენ ბუხნიკაძესთან, ხოლო ქ. თფილისში კვირაცხოვლის ეკლესიაში მღვდელ ბ. გიორგაძესთან.

---

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრთან არსებული**

## ქართ. დრამატ. ხელოვნების სტუდია

სტუდიაში ასწავლიან ყველა საგნებს დრამატიულ ხელოვნებასთან დაკავშირებულს და აგრეთვე **რითმიულ გიმნასტიკას** (ჟაკ დალკროზის სისტემით. მატინონ ზალცმანის ხელმძღვანელობით). მიიღებიან ქალ ვაჟნი 15 წლიდან 30 წლამდე. მსურველთ განცხადება უნდა შემოიტანონ სახელმწიფო თეატრში ყოველ დღე 11—2 ს. მიმდინარე თვის 25 რიცხვამდე.

(6—5) სახელმწ. თეატ. კომისარი **ალ. წუწუნავა.**

---

## საჭიროა — გამოცდილი საბეჭდავ მანქანაზე — მომუშავე

კარგი მცოდნე ქართული და რუსული ენების.

მისამართი: ელისაბედის ქუჩა, სახლი № 200, რკინის გზის პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობა. (3—3)



მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.